



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სასამართლოს უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ნანა ფუტყარაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

ვენედი ბენიძე

თბილისი

2021

შინაარსი

შინაარსი	2
ანოტაცია.....	3
Annotation.....	5
შესავალი.....	6
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი II. სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება ქართულ სამართალში	8
2.1 სასამართლო, ხელისუფლება ძველ ქართულ სამართალში.....	8
2.2 სასამართლო ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.....	11
2.3.სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ	14
2.4. სასამართლო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო.....	16
თავი III. სასამართლო სისტემის მიმოხილვა.....	20
3.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს როლი და უფლებამოსილება	20
3.2. მეორე ინსტანციის სასამართლოს როლი და უფლებამოსილება	24
3.3 უზენაესი სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების საბოლოო რგოლი.....	27
თავი IV ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა საქართველოში	30
4.1ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	36
4.1.1ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში	36
4.1.2 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ინგლისში	39
თავი V სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი გამოხატულება	41
5.1. სასამართლოს როლი და დანიშნულება რეტროსპექტივაში.....	41
5.2 სასამართლოს თანამედროვე გაგება	44
5.3 სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტი	48
5.4 სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებულება.....	51
5.5 მანდატის ხანგრძლივობა	54
5.6 დაფინანსება.....	55
თავი VI კვლევის შედეგები	58
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა	62

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი განხილურია სასამართლოს უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოში არსებობს საერთო სასამართლოების სისტემა, რომელშიც შედის: რაიონული სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო.

რაიონული სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მოიცავს მტელ ტერიტორიას, ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში შესაძლებელია მოქმედებდეს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც სტატუსით გატანაბრებულია ჩვეულებრივ მოსამართლესთან, თუმცა განიხილავს ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეებს.

სააპელაციო სასამართლო არის ორი, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები. შესაბამისად, ერთი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოში. სააპელაციო სასამართლოს მიმართავენ მაშნ როდესაც მხარეებს არ აკმაყოფილებთ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლო საქართველოში ერთია და ის მდებარეობს თბილისში. საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გარდა ამისა არსებობს არბიტრაჟები, რომელიც მოქმედებს მსგავსად საერთო სასამართლოებისა, თუმცა არ შედის ამ სისტემაში. ის კერძო ხასიათისაა და დავების გადაწყვეტისას, პროცედურული საკითხების შელანხმება, ძირითადად მხარეთა შორის ხდება.

თემაში ასევე განხილურია ნაფიც მსაჯულთა სიტემა საქართველოში და ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნებში

აქედან გამომდინარე, სწორედ სასამართლოს როლსა და დანიშნულებას შევხებით ქვემოთ მოცემულ თავებში.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლოს უფლებამოსილებას თემა შედგება : შესავლისაგან, ექვსი თავისაგან, ორი

ქვეთავისაგან, თოთხმეტი პარაგრაფისაგან და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველ თავში განხილული მაქვს ის ლიტერატურა, რომელიც გამოვიყენე თემაზე მუშაობის დროს. მეორე თავი შეეხება, სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება ქართულ სამართალში . მესამე თავში განხილული მაქვს სასამართლო სისტემის მიმოხილვა. მეოთხე თავში განხილულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში და ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. მეხუთე თავში გაერთიანებულია სასამართლოს როლი და დანიშნულება რეტროსპექტივაში, ხოლო მეექვსე თავში მოცემულია კვლევის შედეგები, დასკვნაში შეჯამებული მაქვს, ჩემს მიერ თემაში განხილული საკითხები.

Annotation

The present paper discusses the jurisdiction of the court in criminal proceedings. There is a common court system in Georgia, which includes: District Court, Court of Appeal and Supreme Court. The district court is the court of first instance, which covers the whole territory, in the administrative territorial units it is possible to have the institution of a magistrate judge, which has the same status as an ordinary judge, but considers less serious cases.

There are two courts of appeal, Tbilisi and Kutaisi. Accordingly, one exercises its authority in Eastern Georgia and the other in Western Georgia. They appeal to the Court of Appeals when the parties are not satisfied with the decision rendered by the first instance.

The Supreme Court is one in Georgia and it is located in Tbilisi. The Supreme Court of Georgia is the cassation court of the highest and final instance of the administration of justice in the whole territory of Georgia, which supervises the administration of justice in the common courts of Georgia in the established procedural form. Exercises other powers provided by the Constitution of Georgia and the Organic Law of Georgia on Common Courts.

All cases are heard in open court. The hearing of the case in a closed session is allowed only in cases directly provided by law.

In addition, there are arbitrations that act similarly to common courts, although not included in this system. It is of a private nature and in resolving disputes, procedural issues are agreed upon, mainly between the parties.

The topic also discusses the system of jurors in Georgia and the consideration of cases by jurors in foreign countries.

Therefore, it is the role and purpose of the court that we will discuss in the chapters below.

The master's thesis refers to the jurisdiction of the court under the Code of Criminal Procedure.

In the first chapter I discuss the literature I used while working on the topic. The second chapter deals with the origin and development of the court as an institution in Georgian law. In the third chapter I have reviewed the judicial system. The fourth chapter discusses the institute of jurors in Georgia as well as in foreign countries. The fifth chapter combines the role and purpose of the court in retrospect, while the sixth chapter presents the results of the research, I have summarized in the conclusion, the issues discussed by me in the topic.

შესავალი

საქართველოს სასამართლო სისტემა არის სამსაფეხურიანი: რაიონული სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და საკასაციო სასამართლო. საერთო სასამართლოები განსჯადობის მიხედვით ვალდებული არიან განიხილონ სისხლის სამართლის საქმე და გამოიტანონ კანონიერი, დასაბუთებული და რაც მთავარია სამართლიანი განაჩენი. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

სასამართლოს უფლებამოსილება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით რეგულირდება.

საკვლევი თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობა გამომდინარეობს, მისი არსიდან, რადგან მე-20 მუხლი სასამართლოს უფლებამოსილება მეტად საინტერესო და სპეციფიკური სახეა. საქართველოში სასამართლო ინსტიტუტის განვითარებით, ამდღეობა საზოგადოების თვითშეგნება და სამართლებრივი დონე.

კვლევის მიზანი: ნაშრომის მიზანია მე-20 მუხლის ყოველმხრივი შესწავლა, მის შემადგენლობაში შემავალი სუბიექტური და ობიექტური მხარეების ანალიზის გაკეთება, ასევე კვლევის მიზანია უკეთ ჩავულრმავდეთ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს და განვიხილოთ ისინი.

კვლევის ამოცანა: ნაშრომის ამოცანაა, ღრმად ჩაწვდეს ქართული და უცხო ქვეყნების კანონმდებლობის იმ მკავშირებელ და განმასხვავებელ დეტალებს, რომლებიც თან აახლოებს და თან აშორებს სასამართლოს უფლებამოსილებას. ნაშრომის ამოცანაა განიხილოს ისინი ცალ-ცალკე და შემაჯამებელი დასკვნა გამოიტანოს.

კვლევის მეთოდები. თემაზე მუშაობისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა ისტორიული, ნორმატიული და შედარებითი კვლევის მეთოდი. ისტორიული მეთოდი გამოვიყენე რათა მეჩვენებინა ძველ სასამართლო სისტემასა და ახალ სასამართლო სისტემას შორის რა განსხვავებაა. ნორმატიული ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ გამეკეთებინა საკუთარი დასკვნები და ისე დამეწერა წინამდებარე ნაშრომი. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით დაიწერა ზოგიერთი თავი და ქვეთავი, რათა უკეთ დაგვენახა სხვაობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში არსებული შეხედულების განხილვისას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს სასამართლო უფლებამოსილების გარშემო. თემაზე მუშაობისას, თემის მაქსიმალურად სრულყოფილად წარმოდგენისათვის, ჩემს მიერ გამოყენებული იქნა არაერთი ქართველი სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე მეცნიერის შეხედულება და პოზიცია. მეორე თავში, სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება ქართულ სამართალში თემის გასაგრძობად გამოვიყენე შემდეგი ლიტერატურა: მ. კეკელია, დასახ.ნაშრომი,ტ.II ; ივ.ჯავახიშვილი,თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ,1984; ვ.მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. გამომც მერიდიანი თბ 2003წ. მ. ლევკვიშვილი,დასახ.ნაშრომი, ა.დოლიძე, პირველი ნაბიჯები გამომც უნივერსალი თბ 2019წ; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი თბ 2015, ასევე გამოვიყენე ინტერნეტ წყარო <http://www.supremecourt.ge/court-system/about-system/>.

რაც შეეხება სასამართლო სისტემის მიმოხილვას ჩემს მიერ მოძიებულ იქნა შემდეგი წყაროები, <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9>

საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ;

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმოხილვისას გამოვიყენე ინტერნეტ წყარო:

https://tcc.court.ge/ka/Jurors?fbclid=IwAR0ei-IIFnYePEwBX1qVhf_O5fi7NEWCOAYJINf7-YaNQ2jDObkZnKqdgLY
<https://openscience.ge/bitstream/1/1951/1/Jemal%20Gogolashvili%20Samagistro.pdf>

რაც შეეხება ბოლო თავს სასამართლო, როგორც მართლსაჯულების განხორციელების უმაღლესი გამოხატულება მოძიებულ იქნა წყაროები; <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkenjeridze.pdf> ვახტანგის სამართლის წიგნი. საქართველოს სიძველენი. ე.თაყაიშვილის რედაქციით. ტომი 3 ბატონიშვილი ი. კალმასობა. ტომი1. კ. კეკელიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით.1936 წ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. შ. მესხიას რედაქტორობით.1948წ. მებრეველი.ვ. ქართული სამართლის ისტორია.

თავი II. სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება ქართულ სამართალში

2.1 სასამართლო, ხელისუფლება ძველ ქართულ სამართალში

უძველესი დროიდან (V საუკუნე) XIX საუკუნემდე საქმის გამრჩევი ყველა პირი იწოდებოდა მსაჯულებად, ბჭედ ან მოსამართლედ. V – X საუკუნეებში სადავო საქმის გამრჩევი პირის მნიშვნელობით იხმარება მსაჯული და ბჭე. XI საუკუნიდან ჩნდება ტერმინი მოსამართლე, რომელიც ბჭესთან დ მსაჯულთან ერთად გვხვდება. ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნები ტერმინებს - „მსაჯული“, „მოსამართლე“-არ იცნობენ. მათ ადგილზე დგას „ბჭე“ , რომელიც ხელისუფლების მოსამართე იყო. ვახტანგის სამართლის წიგნში სადავო საქმის გამრჩევი პირი იხსენიება როგორც მსაჯულად, ისე ბჭედ, მოსამართლედ, მდივანბეგად, შუაკაცად. აქ მდივანბეგი, მსაჯული, მოსამართლე, ბჭე ხელისუფლების წარმომადგენელი მოსამართლეა, ტერმინ „ბჭესთან დაკავშირებით, სურათი იცვლება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში „ბჭეს“ აღმოსავლეთ საქართველოში თანდათან ჩამოშორდა ხელისუფლების მოსამართლის შინაარსი და, ძირითადად ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტის მოსამართლედ იქცა, როგორც მოდავე მხარეთა მიერ არჩეული საქმის განმხილველი პირის სახელწოდება. იმერეთის სამეფოში კი XIX საუკუნემდე საქმის გამრჩევი ყველა პირი, ხელისუფლების მოსამართლე იქნება, თუ ჩვეულებითი სამართლის მხარეთა ამორჩეული, ბჭედ იწოდებოდა.¹

სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს „მოდავეები“ ეწოდებოდათ, დაზარალებულ, მოსარჩელე მხარეებს „მოჩივარს“ უწოდებდნენ , მოპასუეს - „ მოადს “. დანაშაულში ბრალდებას „შეწამება“ ერქვა, ე.ი. ბრალმდებელს „შემწამებელი“, ბრალდებულს - „შეწამებული“. თუ ბრალდება დასმენის საფუძველზე ხდებოდა, ამას „შესმენა“ ეწოდებოდა, აქედან ბრალდებულს „შემსმენი“ ერქვა, „ბრალმდებელს“ – „შემსმენელი“²

¹ მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. II გვ. 28-33

² ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გ. 349-350

მომჩივანის მიერ მოთხოვნას, სასამართლოსათვის მოხსენებას ეწოდებოდა „სარჩელი“ ან „საჩვარი“. მხარეთ შრის ურთიერთდავა ერქვა „სარჩვლა“, „ცილება“, „ჩივილი“, თუ ბრალდებული უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, „აშოროს“, „აშას“ ეტყოდა ბრალმდებელს. ეს ტერმინოლოგია მიღებული იყო როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის სამართლის საქმეების წარმოშობის დროს. ძველ ქართულ დოკუმენტებში სასამართლო პროცესის მონაწილედ ჩანს „მეოხი“. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, იგი დამცველს უნდა გულისხმობდეს. ისტორიულად ცნობილია სასამართლო პროცესის სამი ფორმა: 1. საბრალდებო პროცესი, 2. ინკვიზიციური ანუ სამძებრო პროცესი; 3. შერეული პროცესი. ფეოდალურ საქართველოში ფიქსირდება პირველი ორი, უმთავრესად კი საბრალდებო პროცესი, რომელიც სასამართლო პროცესის უძველესი ფორმაა. საბრალდებო პროცესისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი პრინციპები. კერძოდ ესა შეჯიბრითობის პრინციპი, რაც იმით გამოიხატება, რომ მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებები ჰქონდათ. ისინი საქმის დაწების ინიციატორები იყვნენ. სწორედ მხარეები აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და წარუდგენდნენ განსახილველად მოსამართლეებს. მოსამართლეთა როლი პასიურია, მტკიცებულებათა შეკრებაში ისინი მონაწილეობას არ იღებენ, მათ მხოლოდ უნდა შეესწავლათ და შეეფასებინათ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები და ამის საფუძველზე გამოეტანათ განაჩენი. არავითარი წინასწარი გამოძიება არ ტარდებოდა, მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვას ჰქონდა ადგილი. საბრალდებო პროცესის სხვა პრინციპებია ზეპირობა და საჯაროობა. ყველა ეს პრინციპი დამახასიათებელია სასამართლო პროცესისათვის საქართველოში, საწყებული უხსოვარი დროიდან, ფეოდალიზმიმს მთელი პერიოდის განმავლობაში.³

ფეოდალურ პერიოდში წარმოიშვა პროცესის მეორე ფორმა - ინკვიზიციური ანუ სამძებრო, რომელიც საბრალდებოს სრული ანტიპოდი. სისხლის სამართლის საქმის აღზვრა უკვე აღარ ხდებოდა მხარეთა კერძო ინიციატივით, არამედ სახელმწიფო თავისი მოხელეების ინიციატივით, იწყებდა პროცესს. სამძებრო პროცესისათვის საერთოდ აღარ იყო დამახასიათებელი შეჯიბრითობის პრინციპი. მხარეები თანასწორუფლებიან სუბიექტებად აღარ გვევლინებოდნენ. ორივე მხარის ფუნქციებს სასამართლო ასრულებდა. იგი იწყებდა საქმეს, აგროვებდა მტკიცებულებებს, ბრალდებულმა დაკარგა სუბიექტის მდგომარეობა. იგი სრულიად უუფლებო გახდა. საჯაროობა უარყოფილ იქნა, პროცესი წერილობით და საიდუმლოდ მიმდინარეობდა, გამოყოფილია წინასწარი გამოძიების სტადია, როცა ხორციელდებოდა მტკიცებულებათა შეკრება. ყველაზე უკეთეს და სრულყოფილ საბუთად ითვლებოდა ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება,

³³ ვ. მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. თბ., 2003, გვ. 415

ამიტომ მთელი გამოძიება წარიმართებოდა მხოლოდ აღიარების მისაღებად, რასაც ხშირად ბრალდებულის წამება მოსდებდა. როგორც ითქვა, ფეოდალურ საქართველოში პროცესის ძირითადი ფორმა საბრალდებოა, თუმცა ჩანს სამძებრო პროცესის ელემენტებიც. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის მე-4 მუხლში საუბარია იასაულის მიერ საგამოძიებო ფუნქციის შესრულებაზე. იგი იგზავნებოდა მოსამართლის მიერ იმისათვის, რომ ადგილზე გამოეკვლია საქმე და, ამდენად, მის მოქმედებას სამძებრო ხასიათი ჰქონდა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნითაც და სხვა ძეგლებითაც მოსამართლე საქმის განხილვისას ართუ პასიურ როლს ასრულებდა. იგი არ კმაყოფილდებოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი საბუთებით და თვითონ იღებდა გარკვეულ ზომებს მასალების შესაკრებად. საბრალდებო პროცესის ბატონობის პერიოდში არავითარი განსხვავება არ არსებობდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების აღძვრისა და საქმის არსებითად განხილვის წესებში. საქმეს აღძრავდა დაზარალებული მხარე. სახელმწიფო ორგანოს მიერ საქმის აღზვრა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდებოდა, რამაც VIII საუკუნის II ნახევრიდან უფრო ინტენსიური ხაისთი მიიღო. საჩივარი მიმართული იყო მეფის ან მოსამართლეებისადმი. შემდეგ მეფე განსაძვრავდა, თუ ვის უნდა განეხილა საქმე და მას კონკრეტულ მოსამართლეს გადასცემა. გვიანფეოდალური საქართველო სასამართლო პროცესზე მიღებული იყო თითოეულ მხარეს რამდენიმე მრალმდებისა და მოპასუხის არსებობა. ხდებოდა ისეც, რომ მთელი სოფელი გამოდიოდა მოდავე მხარედ. სასამართლო პროცესზე გამოდიოდნენ სოფლის მიერ ამორჩეული თავკაცები, რომლებიც მოახსენებდნენ სასამართლოს თავისი საჩივრის შინაარს და პასუხს მათ წინააღმდეგ მიმართულ სარჩელზე. თუ მოპასუხე არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, მოსამართლე იღებდა ზომებს მის მოსაყვანად. მას შეიძლება წერილი გაეგზავნა მოპასუხისათვის და მოეთხოვა მისი სასწრაფო გამოხდადება. შესაძოა, გარკვეული კომპეტენტური პირებისათვის დაევალებინა მოპასუხის გამოცხადების უზრუნველყოფა, თუ იგი არ გამოცხადდებოდა, მაშნ საქმის განხილვის გარეშე გამტყუნდებოდა.⁴

საქმის განხილვა სასამართლოში იწყებოდა დაზარალებულის სარჩელის მოსმენით. პროცესი ძირითადად ზეპირად მიმდინარეობდა თუმცა ვახტანგ VI -ის სამართლის წიგნის მე-3 მუხლი ითვალისწინებს პროცესის მიმდინარეობის წერილობით გაფორმებას მდივნის მიერ, თუ საჩივარი დიდი მოცულობისაა. მოსარჩლეს შეეძლო ერთი სარჩელით ედავა მრავალ სხვადასხვა საგანზე, თუ დავა მიმართული იყო ერთი კონკრეტული პირის ან პირების წინააღმდეგ. თუ მოპასუხე მხარესაც რაიმე სადავო ჰქონდა მოსარჩელესთან, მასაც შეეძლო ბრალდებები

⁴ ვ. მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. თბ., 2003, გვ. 417

წაყენებინა მისთვის და მოეთხოვა რაიმე. ურთერთბრალდებები ორ მხარე შორის ერთი პროცესის ფარგლებში ტარდებოდა, ე.ი. მხარე პროცესზე შესაძლოა მომჩივანიც ყოფილიყო და მოპასუხეც.⁵

მოპასუხეს, ბუნებრივია, უფლება ჰქონდა გასცნობოდა მის მიმართ წაყენებულ საჩივარს და პროცესზე თავი ემართლებინა. სასამართლოს, შეიძლება, რამდენჯერმე მოესმინა მხარეებისათვის როგორც ერთად, ისე ცალ-ცაკე, შესაძლოა, მომხდარიყო დაპირისპირება. ორივე მხარეს შეეძლო წარედგინა სასამართლოსათვის წერილობითი დოკუმენტები, დაესახელებინა მოწმეები და სხვა. მოსამართლე უშუალოდ უსმენდა მხარეებს, მათ მოწმეებს და აფასებდა მტკიცებულებებს. თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო ჩაეტარებინა ადგილობრივი დათვალიერება. ამისათვის სასამართლო მთელი შემადგენლობით გადადიოდა ადგილზე. სასამართლოს შესაძლოა ფიცი დაეკისრებინა მხარისათვის. სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას „განაჩენი“ ერქვა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეზე. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას წერილობითი სახით ორივე მხარეს აძლევდა.⁶

2.2 სასამართლო ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეფორმების გასააზრებლად მნიშვნელოვანია, კარგად დავინახოთ ის არსებული ვითარება, საიდანაც აღმოცენდა თავად დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი ხელისუფლების რეფორმატორული იდეები. მთავარი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია რეფორმების გააზრებისათვის, არის ის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მართლმსაჯულების სისტემა აღმოცენდა რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად. ის რეფორმები, რომლებიც დაუყოვნებლივ დაინერგა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, დიდი ხანია მწიფდებოდა, რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც, ქართულ ინტელექტუალურ წრეებში. როგორც ჩანს, ქართველი ინტელექტუალური ელიტა, რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც, დიდი ხანია ითხოვდა რეფორმების იმ ნაწილს, რომელიც მოგვიანებით განხორციელდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ხალხთან ახლოს მყოფი მართლმსაჯულება, მათ შორის ქართულ ენაზე სამართალწარმოება, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და ქართული ენის

⁵ მ. ლეკვიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18

⁶ იქვე, გვ. 23

მცოდნე არჩეული მოსამართლეები იდგნენ ქართული ინტელექტუალური წრეების დღის წესრიგში. „ საქართველოში მართლმსაჯულებაში შენარჩუნდა იმპერიის მმართველობის ელემენტები, მაგალითად, საკასაციო ინსტანცია – სენატი მდებარეობდა იმპერიის ცენტრში, მოსამართლეებად იმპერიიდან ინიშნებოდნენ ქართული ენის არმცოდნე საჯარო მოხელეები და, მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიქმნა იმპერიის ცენტრში, მისი შექმნა საქართველოში არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.“⁷

ამ პერიოდში სასამართლო რეფორმები საქართველოში უკავშირდება რუსეთში «სამართლის ოქროს ხანად» წოდებულ პერიოდს – ალექსანდრე II რეფორმებს, რომელთა ეფექტი საქართველოზეც გავრცელდა 1864 წლიდან 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. 1964 წლის 20 ნოემბერის რეფორმებით ალექსანდრე მეორემ შექმნა დამოუკიდებელი სასამართლო, გასაჯაროვდა სასამართლო პროცესები და გასაჩივრების უფლებაც დაუშვა. მოსამართლეებმა მიიღეს დამოუკიდებლობის გარანტიები. სასამართლო აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას გამოეყო. მეფე უვადოდ ნიშნავდა მოსამართლეებს სენატში (უზენაეს სამართლოში), ხოლო იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციით ინიშნებოდნენ საოლქო სასამართლოებში. კანდიდატების წარდგენა ხდებოდა საჯაროდ, იმ სასამართლოში, სადაც ვაკანსია იქმნებოდა. შესაბამისად, ხალხის მიერ ხდებოდა მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენა. მომრიგებელი მოსამართლეები ირჩეოდნენ და მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდნენ არა პოლიტიკოსები, არამედ სენატის შესაბამისი დეპარტამენტი. სწორედ ამ რეფორმების შედეგად შეიქმნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო «ყველა იმ დანაშაულისა და გადაცდომისათვის, რასთან მიმართებაში კანონი ითვალისწინებდა სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევას ან შეზღუდვას».⁸

1868 წლის 1 იანვარს გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები და შეიქმნა საერთო სასამართლოთა სისტემა, სადაც განსჯა ხდებოდა მოსარჩელის წოდებრივი სტატუსის მიხედვით. შეიქმნა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი მაზრებში. მომრიგებელი მოსამართლეები პირველი ინსტანციის მოსამართლეები იყვნენ, მთლიანი სისტემა საოლქო და სამომრიგებლო მოსამართლეებისგან შედგებოდა. უმაღლესს სასამართლოს სასამართლო პალატა წარმოადგენდა, მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრება რუსეთის იმპერიულ სენატში შეიძლებოდა. საქართველოში სამართალწარმოებაში მწვავედ იდგა სამართალწარმოების ენის საკითხი. სამართალწარმოება ხორციელდებოდა რუსულად, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას

⁷ ა.დოლიძე, პირველი ნაბიჯები თბ., 2019 გ.322

⁸ იქვე გვ 24

იწვევდა. ქართველი ინტელექტუალები ხშირად გამოთქვამდნენ კრიტიკას, რომ ხალხს მართლმსაჯულების ენა არ ესმოდა. თავდაპირველად, რუსეთის ადმინისტრაცია ფიქრობდა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწყობას და გადადგა კიდევ ნაბიჯები ამ მიზნით. ქართველი მესვეურები ღიად და აქტიურად უჭერდნენ მხარს ამ იდეას. თუმცა ეს იდეა არ განხორციელდა.⁹

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. კონსტიტუცია 17 თავისა და 149 მუხლისგან შედგებოდა. კონსტიტუცია მოიცავს ადამიანის უფლებათა თავს, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, გამოხატვისა და პრესის თავისუფლებას, 36 გაფიცვის თავისუფლებას 1921 წლის კონსტიტუციის მეექვსე თავი ეთმობა სასამართლო ხელისუფლებას. ის აღმასრულებელი ხელისუფლების თავს მოსდევს და რვა მუხლისაგან შედგება. მუხლების სიმცირე იმით შეიძლება აიხსნებოდეს, რომ კონსტიტუციის 77-ე მუხლი მიუთითებს, რომ სასამართლო სისტემის ორგანიზაციის საკითხები კანონით განისაზღვრება. ეს თავი სასამართლო ხელისუფლების ძირითად კონტურებს მოიცავს. პირველივე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი და გადმოცემულია სენატის ორი მიზანი: ზედამხედველობა გაუწიოს კანონის დაცვას და იმოქმედოს როგორც საკასაციო სასამართლომ. სასამართლოს თავში გადმოცემულია ხუთი ძირითადი პრინციპი: 1. სასამართლოს ორგანიზაციის ძირითადი წახნაგები: სენატის შემოღება და სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოების დაწესება. აღსანიშნავია, რომ გაუქმებულია დროებითი სასამართლოები. კონსტიტუცია საგანგებო აღნიშვნას აკეთებს, რომ სასამართლოები მუდმივია. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი: სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს, და სასამართლოს განაჩენის გაუქმების/შეცვლის დაუშვებლობა სხვა სახელისუფლებო შტოს მიერ. 3. საჯაროობის პრინციპი: სასამართლო სხდომა საჯაროა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ზნეობისა და მშვიდობიანობის პრინციპი, შეიძლება ის დახურული იქნეს თავად სასამართლოს გადაწყვეტილებით. 4. ხაზგასასმელია, რომ პირველი კონსტიტუცია მიუთითებდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, რომელიც შემოღებულ იქნა მძიმე სისხლის სამართლის, პოლიტიკური და “ბეჭდვითი დანაშაულისთვის.” ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ისევე როგორც სენატი, უკვე ფუნქციონირებდა კონსტიტუციის მიღების მომენტისათვის. კონსტიტუციამ ამ ინსტიტუტების არსებობა ფორმალური თვალსაზრისით დააგვირგვინა; 5. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის

⁹ იქვე გვ. 27

გარანტიებში კონსტიტუცია მოიცავს, პირველ რიგში, მოსამართლის არჩევითობის პრინციპს, რაც იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის უდიდესი მიღწევა და სიამაყე.¹⁰

ამავე დროს, დამოუკიდებლობის გარანტიებში იგულისხმება მოსამართლის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანის აკრძალვა სასამართლოს დადგენილების გარეშე, მისი სურვილის საწინაარმდეგოდ. მოსამართლის დროებით გადაყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ ის იყო “სამართალში მიცემული” ანუ ბრალდებული და მისი დათხოვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო სისტემის, როგორც მთლიანი, ისე მისი ცალკეული ინსტიტუტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, თამამად განვაცხადოთ, რომ ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სამი წელი იარსება, მოახერხა თანამედროვე დემოკრატიული სახლმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მართლმსაჯულების ჩანასახების შექმნა.¹¹

2.3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

1997-98 წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემა, რომელიც, ინსტანსტანციურობის პრინციპის თვალსაზრისით არ იყო მკვეთრად გამიჯნული ერთმანეთისგან. 2005 წელს დაწყებული რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კი სწორედ სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია გახლდათ, რის შედეგადაც შეიქმნა მწყობრი, ფუნქციურად გამართული სისტემა და, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა თანმიმდევრული ინსტანციურობის პრინციპი. სასამართლო რეფორმის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით შექმნილია პირველი ინსტანციის 24 რაიონული (საქალაქო) სასამართლო 41 მაგისტრატი მოსამართლით. ინსტანციურობის პრინციპის გარდა, პირველი ინსტანციის სასამართლოების მოდერნიზება გამოიხატა ასევე მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა დაზუსტებასა და სპეციალიზაციაში. ამ სისტემის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში განხორციელდა მოსამართლეთა სპეციალიზაცია, რაც

¹⁰ ა.დოლიძე, პირველი ნაბიჯები თბ., 2019, გვ34

¹¹ იქვე, გვ36

ხელს უწყობს საქმეთა უფრო სწრაფად და მაღალკვალიფიციურად განხილვასა და გადაწყვეტას. მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის_ ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა მაგისტრი მოსამართლის ინსტიტუტი. იგი შედის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს გამსხვილებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო. საქართველოში ორი სააპელაციო სასამართლო მოქმედებს: თბილისსა და ქუთაისში. დასავლეთ საქართველოში მოქმედ პირველი ინსტანციის სასამართლოთა (მათ შორის მაგისტრატ მოსამართლეთა) გადაწყვეტილებებზე სააპელაციო საჩივრებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება.¹²

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს და ფუნქციონირებას სასამართლო სისტემაში; 2005 წლის 1 ნოემბერს ჩამოყალიბდა საქართველოს უზენაესი სასამართლო, როგორც წმინდა საკასაციო ინსტანციის სასამართლო. უზენაეს სასამართლოში გაუქმდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, რომელიც პირველ ინსტანციაში განიხილავდა განსაკუთრებით მძიმე საქმეებს. შემოღებულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები. უზენაესი სასამართლო, ამ კრიტერიუმების შესაბამისად, განიხილავს დასაშვები კატეგორიის საქმეებს რომლებიც მნიშვნელოვანია კანონისა და ერთიანი პრაქტიკის განვითარებისათვის. ამ ცვლილებებით უზენაესი სასამართლო გახდა ჭეშმარიტად დოქტრინალური სასამართლო, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სამართლის ნორმების დაზუსტება და ერთიანი პრეცედენტული სამართლის დამყარება. სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც დღეს დამოუკიდებელი ორგანოა, სასამართლო ხელისუფლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილების მქონე ამ ორგანოს კომპეტენცია მოიცავს სასამართლოს ბიუჯეტის მომზადებას, მატერიალურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას და მის კონტროლს, მოსამართლეთა დანიშვნას, თანამდებობიდან გათავისუფლებას, მოსამართლეთა წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებას, სასამართლოს მოხელეთა სამსახურში მიღება.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპით. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ამ

¹² <http://www.supremecourt.ge/court-system/about-system/> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

უკანასკნელს, გამორჩეული ფუნქციებისა და მაღალი დანიშნულების გამო, განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოების სისტემაში.

2.4. სასამართლო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო

სასამართლო ხელისუფლება საქართველოში: საყოველთოდ ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ემყარება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ამ სისტემაში ხელისუფლების ერთ-ერთი შტო არის სასამართლო, რომელიც დამოკიდებული და მიუკერძოებელია ხელისუფლების სხვა შტოებისგან და აკონტროლებს მართლმსაჯულების სხვა შტოების საქმიანობას სამართლიანობის ობიექტური განხორციელების გზით. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ე.წ. "ექსკლუზიური" უფლება აქვს სასამართლოს. სისხლის სამართლის საქმეზე მიიღოს სამართლებრივი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. სასამართლო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და მხარეთა პოზიციების სრულად გააზრების შემდეგ გამოაქვს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი. გარკვეული სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე. თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოები და სააპელაციო სასამართლოები. სასამართლოების ოდნავ განსხვავებული სისტემა, როგორც წესი, დამახასიათებელია ფედერალური სახელმწიფოსათვის, რადგან აქ გვხვდება შტატის, პროვინციის ან ცალკეული კანტონის სასამართლოები.

საქართველოში ფუნქციონირებს სამი საფეხურის სასამართლო: ა) რაიონული(საქალაქო) სასამართლო,მაგისტრატი მოსამართლეები; ბ) სააპელაციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია; გ) ეზენაესი სასამართლო. რაც შეეხება სასამართლოთა შემადგენლობას, ამ მხრივ განასხვავებენ ორ ძირითად მიდგომას; სასამართლოს დაკომპლექტება

პროფესიონალი მოსამართლეებით და სასამართლო სასამართლო შემდგარი არაპროფესიონალი მოსამართლეებისაგან. პროფესიონალი მოსამართლეებისაგან დაკომპლექსების წესი ჩვეულებრივ, მოიცავს მოსამართლედ დანიშვნისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო პირობების დაწესებას, ეს პირობებია: უმაღლესი იურიდიული განათლება, საჭირო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, მოსამართლეთა შესარჩევი სპეციალური კონკურსის გავლა და სხვა. რაც შეეხება არაპროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებულ სასამართლოს, როგორც წესი, ეს არის ხოლმე რიგით მოქალაქეთა მონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში. სასამართლოს დაკომპლექტებისას ასეთ სიტუაციაში არ არის დადგენილი ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რიგით მოქალაქეებს გამოაქვთ გადაწყვეტილება მხოლოდ პირის ბრალეულობის შესახებ. შემდგომ იმ გადაწყვეტილებას დამატებით ინტერპრეტაციას უკეთებს მოსამართლე. მაშასადამე, რიგითი ადამიანები მოსამართლის დახმარებით ახორციელებენ მართლმსაჯულებას. მსგავს შემთხვევას შეგიზლია მიაგაკუთნოთ საქართველოში ცოტა ხნის წინ დანერგილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.¹³

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ემყარება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსამართლე ამ შემთხვევაში მხოლოდ არბიტრია, რომელიც ეხმარება მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვებასა და წარმოდგენაში, თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირებაში. მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით მოიძიოს ან გამოიკვილოს მტკიცებულება, მას აქვს მხოლოდ ცალკეული საკითხის დაზუსტების უფლება, ისიც კითხვის ფორმით.

სასამართლო კომპენტენცია, განსჯადობა: იმ შემთხვევაში თუ წინასასამართლო განხილვაზე გადაწყდა საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაგზავნა, საქმე განიხილება პირველი ინსტანციით- ე.ი. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში ასევე შედიან მაგისტრატი მოსამართლეები რომლებიც საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაგზავნამდე იღებენ გადაწყვეტილებას გამოძიების ფარგლებში წაერმოქმნილ თითქმის ყველა ძირითად საკი/ტხზე. კერზოდ ისინი იღებენ შემდეგ გადაწყვეტილებებს: კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა; ბრალდებული მიმართ აღკვეთის რონისძიების საკითხის გადაწყვეტა; გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი თბ., 2015 გვ. 100

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს, ის მაგისტრატი მოსამართლეები, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზეც ტარდება საგამომიებო მოქმედება და თუ გამოძიების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს ან მაგისტრატი მოსამართლე არ არის ადგილზე რაიმე მიზეზით, ასეთი გადაწყვეტილებები ასევე შეიძლება მიიღოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს რომელიმე მოსამართლემ. მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში. იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვისას რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლოა, მას შეუძლია აღნიშნული განაჩენის თაობაზე საჩივარი შეიტანოს სააპელაციოს სასამართლოში, რომელიც განიხილავს განაჩენის კანონიერებას და დასაბუთებულობას. თუ მხარე არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას შეუძლია მიმართოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს სასამართლო სისტემის უმაღლეს რგოლს საქართველოში და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა. საქმეთა კონკრეტულ სასამართლოზე მიკუთვნების დროს გამოსავალია რამდენიმე კრიტერიუმი. ეს არის: დანაშაულის ჩადენის ადგილი, ბრალდებულის დაკავების ადგილი ან პროცესში მონაწილეთა საცხოვრებელი ადგილი. საქართველოს საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს რამდენიმე ტიპის განსჯადობას. საერთო წესით საქმე განიხილება იმ სასამართლოს მიერ, სადაც ბრალდებული პირველად იქნა წარმოდგენილი. თუ გამოძიების ეტაპზე მხარეთა შორის იქნა მიღწეული საპროცესო შეთანხმება, მაშინ საქმეს განიხილავს ის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც დასრულდა გამოძიება. ზემდგომი სასამართლოს თავჯდომარე არის უფლებამოსილი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე, გასახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს უფრო ნაკლები საპროცესო ხარჯების გაწევის მიზნით. განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა დავის დროს საბოლოოა ზემდგომი სასამართლოს თავჯდომარის გადაწყვეტილება. (მაგალითად, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები დაობენ იმაზე ვისი განსაჯდია ესა თუ ის საქმე, საბოლოო გადაწყვეტილებას განსჯადობაზე იღებს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე).

არსებობს სისხლის სამართლის ორი ტიპი: პირველი არის საქმის განხილვა ერთპიროვნულად (როდესაც საქმეს იხილავს ერთი მოსამართლე) და მეორე საქმის განხილვა კოლეგიური წესით (ამ შემთხვევაში, როგორც წესი, საქმეს იხილავს სამი მოსამართლე). მაგისტრატი მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად განიხილება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, თუ ამ სასამართლოს თავჯდომარემ განსაკუთრებულ შემთხვევებში არ დაადგინა საქმის კოლეგიური განხილვა. ასეთ

განსაკუთრებულ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი გარემოებები: საქმე მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკისათვის, საქმე განსაკუთრებული სამართლებრივი ან ფაქტობრივი სირთულით გამოირჩევა, რის გამოც ერთი მოსამართლე მის განხილვას ვერ გაწვდება და საჭიროა მოსამართლეთა ჯგუფი.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში საჩივარს განიხილავს ერთი მოსამართლე, ხოლო შემაჯამებელი გადაწყვეტილების თაობაზე, ე.ი განაჩენის გამოტანის მიზნით, განხილვა ხდება კოლეგიური წესით. ასევე კოლეგიური წესით განიხილება საქმე საკასაციო ინსტანციაშიც, ე.ი. უზენაეს სასამართლოში. სასამართლო სხოდამზე მთავარი ფიგურაა სხდომის თავმჯდომარე რომელიც ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომას და მხარეებს შეუქმნის შესაბამის პირობებს მათ მიერ პოზიციების დაფიქსირებისათვის, მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევისათვის. ამრიგად თავმჯდომარე ზრუნავს სხდომაზე წესრიგის დაცვისათვის. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო სხდომის მდივანი, რომელიც ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: ამოწმებს სხდომაზე გამოძახებულ პირთა გამოცხადების საკითხს და მოახსენებს ამის შესახებ თავმჯდომარეს, აწარმოებს სასამართლო სხდომის ოქმს.

თავი III. სასამართლო სისტემის მიმოხილვა

3.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს როლი და უფლებამოსილება

საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ 27-ე მუხლში მოცემულია, რომ საქართველოში არსებობს საერთო სასამართლოების სისტემა, რომელშიც მოიცავს: რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და საკასაციო (უზენაეს) სასამართლოებს. რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლოა, რომელიც მოიცავს საქართველოს მთელს ტერიტორიას. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში შესაძლებელია მოქმედებდეს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც სტატუსით გათანაბრებულია ჩვეულებრივ მოსამართლესთან, თუმცა განიხილავს ნაკლებად რთული კატეგორიის საქმეებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანმა თავისი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების აღსადგენად სასამართლოს უნდა მიმართოს განსჯადობის მიხედვით. (ტერიტორიული , საგნობრივი, ინსტანციური) გარდა ამისა, არსებობს არბიტრაჟები, რომელიც მოქმედებს მსგავსად საერთო სასამართლოებისა, თუმცა არ შედის ამ სისტემაში. ის კერძო ხასიათისაა და დავების გადაწყვეტისას, პროცედურული საკითხების შეთანხმება, ძირითადად მხარეთა შორის ხდება.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, – კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში). საქალაქო სასამართლო იქმნება თვითმმართველ ქალაქში. საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია თვითმმართველ ქალაქთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტსაც (მუნიციპალიტეტებსაც).

რაიონული (საქალაქო) სასამართლო შედგება არანაკლებ 2 მოსამართლისაგან. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია და რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.¹⁴

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები (შემდგომში – სასამართლო კოლეგიები). სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობას ადგენს და სასამართლო კოლეგიების შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს ამ კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს თავმჯდომარემ ამ კანონის 581 მუხლით დადგენილი წესით შერჩეულ მოსამართლეს, მისი თანხმობით, შეიძლება დაავალოს საქმის ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში) განხილვა, აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განხილვა.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით

¹⁴ საქართველოს ორგანული კანონი სასამართლოების შესახებ მუხლი 28

თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე: პირადად განიხილავს საქმეებს; ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სასამართლოს მენეჯერის, სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის, სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანაშემწისა და სასამართლო სხდომის მდივნის თანამდებობაზე დანიშნის (სამსახურში მიღების) და თანამდებობიდან გათავისუფლების (სამსახურიდან დათხოვნის) შესახებ; სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს უფარდებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს; ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას; უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და სხდომაზე დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სასამართლო სხდომის დარბაზში ცალკეული საგნების შეტანის აკრძალვა; უფლებამოსილია, აღნიშნული დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია: პირადი განცხადება; რაიონული (საქალაქო)

სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა; დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლა.¹⁵

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით – ერთ-ერთი სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე. სასამართლოს თავმჯდომარის დავალების არარსებობისას მის მოვალეობას ასრულებს შესაბამისად ის მოსამართლე ან ის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის დავალების არარსებობისას – ის მოსამართლე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს ამ სასამართლოს მეორე მოსამართლე.

¹⁵ საქართველოს ორგანული კანონი სასამართლოების შესახებ მუხლი 32

3.2. მეორე ინსტანციის სასამართლოს როლი და უფლებამოსილება

საქართველოს ორგანული კანონი სასამართლოების შესახებ მუხლი 23. თბილისის სააპელაციო სასამართლო არის მეორე ინსტანციის სასამართლო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში, რომელიც განიხილავს საჩივრებს პირველი ინსტანციის (რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განსჯადობა ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოსამართლო კორპუსი შედება 3 პალატისა და 1 კოლეგიისაგან: სამოქალაქო საქმეთა პალატა; ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა; სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; საგამომიებო კოლეგია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს აპარატს ხელმძღვანელობს სასამართლოს მენეჯერი. სასამართლოს აპარატის სტრუქტურა შემდეგნაირია: თავმჯდომარის ბიურო; საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება; კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები; მატერიალური უზრუნველყოფისა და სასამართლოს მანდატურის სამსახური.

სააპელაციო სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. 1. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. 2. სააპელაციო სასამართლოში იქმნება: სამოქალაქო საქმეთა პალატა; ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა; სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; საგამომიებო კოლეგია. სააპელაციო სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია. სააპელაციო სასამართლოს პალატებსა და საგამომიებო კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობას და მათ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატას და საგამომიებო კოლეგიას ჰყავთ თავმჯდომარეები. სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეებს შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარედ ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარედ ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნება

თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შეუწყვიტოს მოსამართლეს მისთვის დაკისრებული თავმჯდომარის უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია: ა) პირადი განცხადება; ბ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა; გ) დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება; დ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლა.

სააპელაციო სასამართლო საპროცესო კანონით დადგენილი წესით, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება დაწესდეს სააპელაციო საჩივრების ერთპიროვნული განხილვა საპროცესო კანონით დადგენილი წესით. 2. სააპელაციო სასამართლო აგრეთვე ახორციელებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. 3. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის

მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე: პირადად განიხილავს საქმეებს; ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სასამართლოს მენეჯერის, სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის, სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანაშემწისა და სასამართლო სხდომის მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის (სამსახურში მიღების) და თანამდებობიდან გათავისუფლების (სამსახურიდან დათხოვნის) შესახებ; სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს უფარდებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას, უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნის შეტანის აკრძალვა; ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა; სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში უფლებამოსილია, წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებანი. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ საკითხზე განკარგულების მიღებისა და მისი გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით; ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას – სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე იმავდროულად არის სასამართლოს ერთ-ერთი პალატის/საგამომიებო კოლეგიის წევრი და შეიძლება იყოს სასამართლოს ერთ-ერთი პალატის/საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარე.

3.3 უზენაესი სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების საბოლოო რგოლი

საქართველოს უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციითა და "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილია: ა) სამოქალაქო საქმეთა პალატა; ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა; გ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; დ) დიდი პალატა; ე) პლენუმი; ვ) სადისციპლინო პალატა. უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) პლენუმის მიერ აირჩევიან პალატების შემადგენლობიდან 5 წლის ვადით. პალატების თავმჯდომარეები (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები. სადისციპლინო პალატის თავმჯდომარეს ამ პალატის შემადგენლობიდან 3 წლის ვადით ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთაგან (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების პრინციპების დამკვიდრების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ხელს უწყობს კანონის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრებასა და

ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. უზენაესი სასამართლოს პალატა (გარდა სადისციპლინო პალატისა) საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მისი განსჯადობისათვის მიკუთვნებულ სხვა საქმეებს. სამართლის სამივე დარგში, საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებისათვის სავალდებულოა შემდეგი სამი პირობა: ა) საქმე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა განსხვავდებოდეს ამ კატეგორიის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ უნდა იყოს ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის დამატებითი პირობები. კერძოდ: იგი დაიშვება, თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან მიღებულია განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

უზენაეს სასამართლოს სადისციპლინო პალატა განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა შედგება პლენუმის მიერ 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან. დიდ პალატაში საქმის განხილვას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა 9 მოსამართლის შემადგენლობით, საქმის განხილველი პალატის განჩინების საფუძველზე, განიხილავს საქმეს, თუ იგი თავისი შინაარსით იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს ან საქმის განხილველი პალატა არ იზიარებს საკასაციო პალატის ან დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას. საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილია პლენუმი, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან. პლენუმის საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. პლენუმი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხები.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატაში, თუ საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა. სააპელაციო

სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა. საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება წერილობითი ფორმით იმ სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივრის მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლო საკასაციო საჩივარს საქმესთან ერთად გადაუზღავნის უზენაეს სასამართლოს. საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. საკასაციო საჩივარი განიხილება კოლეგიურად – სამი მოსამართლის შემადგენლობით. სისხლის სამართალწარმოებაში საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებით სარგებლობენ პროცესის მონაწილე სუბიექტები. სამოქალაქო პროცესის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ასეთი უფლებამოსილება გააჩნიათ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ უფლებით მხარეებთან ერთად სარგებლობენ საქმეში სავალდებულო წესით ჩართული მესამე პირები. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა და რომლის გასაჩივრებასაც ითვალისწინებს კანონი. მხარეებს საკასაციო საჩივარი შეაქვთ გადაწყვეტილების (განაჩენის, განჩინების) გამომტან სააპელაციო სასამართლოში. პირდაპირ უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა სისხლის სამართლის საქმეებზე არის ერთი თვე. ამ ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საკასაციო თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების პირი, საკასაციო ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. მქონე საჩივრის საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე და მისი ათვლა იწყება გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე წარდგენილ საჩივრებს კასატორმა უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სისხლის სამართლის საქმეებზე საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს. რაც შეეხება ადვოკატს, მას ამის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატებში საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის სავალდებულოა, რომ წარმომადგენელს (ადვოკატს) გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა ტესტირება და იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

თავი IV ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა საქართველოში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. კანონის მიხედვით, საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეებზე; ჩვენს ქვეყანაში მანამდე არსებული სისტემისგან განსხვავებით, აღნიშნული კატეგორიის ბრალდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, მოსამართლის ნაცვლად, უნდა დადგინდეს ნაფიცი მსაჯულების მიერ, რომლებიც საზოგადოების რიგითი წევრები არიან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები მოქმედებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. მათი სამოქმედო ტერიტორიები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს განიხილავს, თუ წარდგენილია ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა -დამთავრებული) და 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში -დამთავრებული) მუხლებით; 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილები; 126-ე მუხლით (ძალადობა) მე-2 ნაწილით ; 1351 მუხლით (ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა); 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) მე-2-მე-4 ნაწილები; 1431(ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი) და 1432 (არასრულწლოვნით ვაჭრობა - ტრეფიკინგი) მუხლებით ; 1433 მუხლით (ადამიანით ვაჭრობის - ტრეფიკინგის მხვერპლის/დაზარალებულის მომსახურებით სარგებლობა) მე-2-მე-4 ნაწილები; 144-ე-1442 მუხლებით (მძევლად ხელში ჩაგდება, წამება, წამების მუქარა); 1443 მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მე-2 ნაწილი; 146-ე მუხლით (უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში) მე-2 ნაწილი; 147-ე და 149-ე მუხლები (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში); 197-ე მუხლით(ფალსიფიკაცია) მე-4 ნაწილი; 198-ე მუხლით (ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადება,შემოტანა ან რეალიზაცია) მე-3 ნაწილით; 229-ე მუხლით (აფეთქება). ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა ამ ეტაპზე არჩევადია და სურვილს ბრალდებული/დაცვის მხარე აფიქსირებს მოსამართლის წინაშე, საქმის განხილვის წინასასამართლო ეტაპზე.

თითოეული სისხლის სამართლის საქმისათვის ამ საქმის განმხილველი მოსამართლე საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული, 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას არა უმეტეს 300 პირის შემადგენლობით. ჩვეულებისამებრ, საქმის განხილვისათვის შეირჩევა 12 ძირითადი და ორი სათადარიგო მსაჯული. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები მძიმე დანაშაულთა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

1. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული, 18 წელს გადაცილებული პირი.
2. იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
3. ცხოვრობს აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში – იმის შესაბამისად, თუ საქართველოს რომელ ნაწილში მდებარე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში იმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი;
4. შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ გამონაკლისებს ითვალისწინებს, კერძოდ, პირი ვერ მიიღებს მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად სისხლის სამართლის პროცესში, თუ არსებობს ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი ან/და იგი არის:¹⁶

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;
2. პროკურორი;
3. გამომძიებელი;
4. პოლიციელი;
5. ადვოკატი;
7. მოქმედი სამხედრო მოსამსახურე;
8. სასულიერო პირი;
9. აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე;
10. ბრალდებული;

¹⁶ https://tcc.court.ge/ka/Jurors?fbclid=IwAR0ei-lFnYePEwBX1qVhF_O5fi7NEWCOAYJINf7-YaNQ2jDObkZnkqdgLY
[უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

11. პირი, რომელსაც ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაედო, და ამ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წელზე ნაკლებია გასული;

12. ნასამართლელი.

პირი, რომელსაც უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიც მსაჯულობაზე:

1. თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;
2. თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;
3. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
4. თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;
5. თუ 70 წელს გადაცილებულია.

ვიდრე პირველად გამოცხადდებიან სასამართლოში, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს გარკვეული მოვალეობები აქვთ, კერძოდ:¹⁷

1. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული აცილების საფუძვლის არსებობის შესახებ, რაც ასახულია სპეციალურად მათთვის გაგზავნილ აცილების ფორმაში, აცნობოს სასამართლოს, უწყების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში.

2. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს შერჩევის სხდომამდე გონივრულ ვადაში საცხოვრებელ მოსამართლე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე დამტკიცებული კითხვარი. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები ვალდებულნი არიან, უპასუხონ კითხვებს და დაუბრუნონ იგი მოსამართლეს კითხვარში მითითებულ ვადაში.

3. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსაჯულობის კანდიდატები ვალდებულნი არიან სასამართლოში გამოცხადდნენ უწყებაში მითითებულ დროს და ადგილას.

სპეციალურად ამისათვის სასამართლოში ტარდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა, სადაც მსაჯულობის კანდიდატს შეუძლია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რაც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში. თვითაცილება დასაბუთებული უნდა იყოს. გარდა თვითაცილებისა, მხარეებსაც აქვთ უფლება იშუამდგომლონ მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ. გარდა ამისა, მოსამართლე ყველა იმ გარემოებას ამოწმებს, რომელიც შეიძლება მსაჯულობის კანდიდატის აცილების საფუძველი გახდეს და მხარეებს საშუალებას აძლევს,

¹⁷ https://tcc.court.ge/ka/Jurors?fbclid=IwAR0ei-IFnYePEwBX1qVHf_O5fi7NEWCOAYJINf7-YaNQ2jDObkZnKqdgLY უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და წარადგინონ დამატებითი მასალები აცილების თაობაზე. მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხი გასცეს მისთვის დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია მისი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეებთან მისი ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში ხელი შეუშალოს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმეში მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ მოსამართლეს სთხოვონ ნაფიცი მსაჯულობის რამდენიმე კანდიდატის აცილება დასაბუთებული მიზეზით, თუ არსებობს გარემოებები, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის აცილების თაობაზე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება ან უკუგდება მოსამართლეზეა დამოკიდებული. დასაბუთებული მიზეზით ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის აცილების გარდა, მხარეებს უფლება აქვთ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი აიცილონ კონკრეტული მიზეზის დასახელების გარეშე. ამგვარი სახის აცილებას „დაუსაბუთებელი აცილება“ ეწოდება. დაუსაბუთებელი აცილების გამოყენების წესს და მათ რაოდენობას კანონი განსაზღვრავს. აცილების შემდეგ დარჩენილ თორმეტ კანდიდატს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს როგორც სათადარიგო მსაჯული. სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომას, მაგრამ მას უფლება არა აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე ან დაესწროს სასამართლოს თათბირს. სათადარიგო მსაჯული მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს მონაწილეობას სასამართლოს თათბირსა და კენჭისყრაში, თუ მან შეცვალა სხვა ნაფიცი მსაჯული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თათბირი თავიდან იწყება.

ნაფიცი მსაჯულები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უმნიშვნელოვანესი რგოლია და მათ მთელი რიგი უფლებები გააჩნიათ, კერძოდ: ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს თავის წერილობით მიმართვაზე მიიღოს:

1. სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;
2. წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;
3. სასამართლო სხდომის დროს მიიღოს დამატებითი განმარტება:
 - ა) სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ;
 - ბ) მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;
 - გ) მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვის შესახებ;

დ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს, დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ. გარდა ამისა, მსაჯულებს შეუძლიათ სხდომის მიმდინარეობისას გააკეთონ ჩანაწერები, რაც მიღებული ინფორმაციის გაანალიზებისა და ფაქტების უკეთ აღქმაში დაეხმარებათ. მათ ასევე სათათბირო ოთახში გასვლამდე ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც დაუშვებელ მტკიცებულებებს ეხება.

1. სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება;
2. ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;
3. განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა;
4. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სასამართლო სხდომის ფარგლებს გარეთ;
5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა;
6. სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.

საქმის არსებითი განხილვის პირველ სასამართლო სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა შორის წილისყრის საფუძველზე შეირჩევა უფროსი მსაჯული, რომელიც თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს. ამავე სხდომაზე, ნაფიცი მსაჯულები სასამართლოს წინაშე დებენ ფიცს, რომ პატიოსნად და მიუკერძოებლად ადასრულებენ ნაფიცი მსაჯულის უფლება-მოვალეობას. ფიცის დადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. საქმის განხილვის დაწყებისას პროკურორი თავის შესავალ სიტყვას წარმოადგენს, სადაც განმარტავს ბრალდებულის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალს, რის შემდეგაც დაცვის მხარეც უფლებამოსილია წარმოადგინოს დაცვის შესავალი სიტყვა. მხარეთა შესავალი სიტყვები მტკიცებულებებს არ წარმოადგენენ და შესაბამისად, მსაჯულებმა ისინი მტკიცებულებებად არ უნდა მიიჩნიონ. საქმის განხილვის შემდეგი ეტაპია მტკიცებულებათა გამოკვლევა. პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე და პირიქით. მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დასკვნითი სიტყვები წარადგინონ. დასკვნითი სიტყვა თითოეულ მხარეს საშუალებას აძლევს ნაფიც მსაჯულებს მოახსენოს, თუ რას ადასტურებს წარმოდგენილი მტკიცებულებები მისი აზრით

და რატომ უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული სახის გადაწყვეტილება. დასკვნითი სიტყვები ნაფიც მსაჯულებს ეხმარება საქმის მრავალი დეტალი გაიხსენონ. დასკვნითი სიტყვების წარმოდგენის შემდეგ ორივე მხარე უფლებამოსილია ისარგებლოს რეპლიკით, რის შემდეგაც ბრალდებული საბოლოო სიტყვას წარმოთქვამს. სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. ამის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბიროდ, ვერდიქტის მიღების მიზნით.¹⁸

სათათბირო ოთახში ნაფიცი მსაჯულები განსჯიან და იღებენ გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ უფროსი მსაჯული თანმიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამატყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით. თითოეული ნაფიცი მსაჯული გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას საკითხისადმი, მხარს უჭერს ან პირიქით, უარყოფს მას. ნაფიც მსაჯულს უფლება არა აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულება შესაძლებელია გაგრძელდეს იმ დროით, რაც საჭიროა მოცემული საქმის განხილვისთვის, რომლისთვისაც ის შერჩეულია ნაფიც მსაჯულად. საქმის განხილვის დასრულების შემდეგ მოსამართლე ნაფიც მსაჯულს ათავისუფლებს მსაჯულობის მოვალეობისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ნაფიც მსაჯულთა სოციალურ გარანტიებს (როგორც იმ მსაჯულებისთვის, რომლებიც შერჩევაში მონაწილეობენ, ასევე მათთვისაც, ვინც ფაქტობრივად ფიცის ქვეშ ნაფიც მსაჯულად იმსახურებს ნაფიცი მსაჯულების სასამართლოში), კერძოდ: ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის განხორციელებასთან. ამასთან, დღიური, სამგზავრო ხარჯების და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. სასამართლო ნაფიცი მსაჯულების თანხმობით უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტირებას საცხოვრებელი ან დროებითი განთავსების ადგილიდან შესაბამის სასამართლომდე და უკან. დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება. ნაფიცი მსაჯულობის

¹⁸ https://tcc.court.ge/ka/Jurors?fbclid=IwAR0ei-IFnYePEwBX1qVHf_O5fi7NEWCOAYJINf7-YaNQ2jDObkZnkdglY უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

კანდიდატის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა სასამართლოში განსაზღვრულ დროს გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე. ნაფიცი მსაჯულის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა არსებითი სასამართლო განხილვისას გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე. ხოლო ნაფიცი მსაჯულის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 1500 ლარამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან სამართალწარმოების სხვა მონაწილის, აღმასრულებლის, დაზარალებულის, მოწმის ან სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის ანდა მისი ახლო ნათესავის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურება იმის მიერ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ორ წლამდე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. ნაფიცი მსაჯულის ან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოსათვის მისი ნაფიც მსაჯულობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენა – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

4.1 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა საზღვარგარეთის ქვეყნებში

4.1.1 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დღეისთვის წარმატებულად ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს. სტატისტიკური მონაცემებით, აქ ყოველწლიურად, ნაფიც მსაჯულებს 120 ათასზე მეტ საქმეზე გამოაქვთ ვერდიქტი. ეს მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში მიმდინარე სასამართლო პროცესების 90 პროცენტს შეადგენს. საქმე ისაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არა მარტო სისხლის სამართლის საქმეების, არამედ სამოქალაქო საქმის განხილვაშიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეები,

რომელთა გამო, კანონით, შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით. თუმცა, ამგვარ შეზღუდვას აშშ-ის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. იგი შემუშავებულია პრაგმატული მიდგომით და უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სარჩელების განხილვისას ნაფიცი მსაჯულები არა მხოლოდ მხარის დამნაშავეობას ან უდანაშაულობას ადგენენ, არამედ მიყენებულ ზარალსაც განსაზღვრავენ და ამა თუ იმ მხარისთვის დასაკისრებელი ჯარიმისა და კომპენსაციის ოდენობასაც ადგენენ.¹⁹

აშშ-ში პოტენციური ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიების შედგენის ძირითადი მეთოდია ამომრჩეველთა, ანუ ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეთა სიების გამოყენება. ზოგიერთ შტატში ამომრჩეველთა სიების გარდა, იყენებენ გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირთა და მძღოლის მოწმობის მქონეთა სიებსაც. უფრო მეტიც, სატელეფონო ცნობარებსაც. ამის მიზანია ის, რომ მაქსიმალურად სრული სია შედგეს იმ პირებისა, რომელთა მოვალეობაა ნაფიც მსაჯულთა სამსახური. სიებს, როგორც წესი, ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. ამ წყაროებიდან მიღებული სიების გაერთიანება კი არ ხდება, არამედ ხდება მათი გადარჩევის პროცედურა - ასაკის (მინიმალური და მაქსიმალური), მოქალაქეობის ქონაარქონის და სხვა მარტივი ნიშნების მიხედვით. დგება საერთო და სათადარიგო სიები და მათზე პასუხს აგებენ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები. სიების განახლება ხდება ყოველწლიურად. შერჩეულ კანდიდატებს ფოსტით ეგზავნებათ ანკეტის კითხვარის ტიპის დოკუმენტი, რომელსაც აშშ-ში საკვალიფიკაციო ცნობარს უწოდებენ. მასში შეტანილია ყველა ის ცნობა და მონაცემი, რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა. კანდიდატი ვალდებულია, შევსებული ანკეტა დაუბრუნოს ადრესატს - სასამართლოს. ეს არის პირველადი და ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც სასამართლოში იწყება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების შერჩევის პირველი ეტაპი.²⁰

ამერიკის შეერთებულ შტატებში დადგენილია საკვალიფიკაციო ცნობართან დაკავშირებული პროცედურა. ცნობარი ადრესატს ეგზავნება ფოსტით და ეძლევა წინადადება, 10 დღეში (ზოგიერთ შტატში დადგენილია უფრო დიდი ვადა) შეავსოს, ხელი მოაწეროს, ფიცის ქვეშ დაამოწმოს მასში მითითებული მონაცემების სისწორე და დაუბრუნოს გამგზავნს - სასამართლოს. პირი, რომელმაც შევსებული ცნობარი არ დააბრუნა, შეიძლება გამოიძახონ მდივანთან ან კომისიაში დოკუმენტის შესავსებად. თუ პირი არ გამოცხადდება, იგი განმარტების მისაცემად გამოძახებული იქნება

¹⁹ <https://openscience.ge/bitstream/1/1951/1/Jemal%20Gogolashvili%20Samagistro.pdf> [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

²⁰ იქვე, [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

მოსამართლის ბრძანებით. თუ მოსამართლის ბრძანებითაც არ გამოცხადდება და არც საპატიო მიზეზის მტკიცებულებას გაგზავნის, ასეთი პირი შეიძლება დაჯარიმდეს 100 დოლარით, ან დაისაჯოს სამდღიანი პატიმრობით, ან ორივე სანქციით. ასევე პასუხს აგებს ის, ვინც არსებითი მნიშვნელობის მქონე აქტს ცნობარში დაამახინჯებს ნაფიცი მსაჯულობისგან თავის ასარიდებლად, ან პირიქით, არსებითი მნიშვნელობის აქტის ცნობარს დაამახინჯებს იმის გამო, რომ უკანონოდ გახდეს ნაფიცი მსაჯული. ნაფიცი მსაჯულობის გამომრიცხველ გარემოებებად ითვლება მოქალაქეობის არქონა, სამართალწარმოების ენის არცოდნა, ბინადრობის ცენზი, ასაკობრივი შეზღუდვა, ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობა, შეუთავსებლობა პროფესიული, თანამდებობრივი საქმიანობის ხასიათი თუ სამსახურებრივი ნიშანი (ასეთ პირთა ჩამონათვალი 70-ს აღწევს) და თუ პირი არის ნასამართლელი, განსასჯელი და ბრალდებული. ნაფიცი მსაჯულობიდან გამოირიცხება მოქალაქე ხანდაზმულობისა და სხვადასხვა დაავადების გამო. შესაძლოა, გამოირიცხონ ექიმები, მასწავლებლები, ორსული და ბავშვიანი ქალები, მძიმე პირადი და ოჯახური მდგომარეობის მქონე პირები, სამსახურებრივ სამუშაოსთან და საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონენი და სხვები. აშშ-ის კანონმდებლობით, თუ სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს, რომ გადაულახავი სიძნელებისა ან მეტისმეტად დაუძლეველი გარემოებების გამო ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვერ შეძლებს საქმის განხილვისას იყოს მიუკერძოებელი, ვერ განახორციელებს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციას, დაარღვევს სასამართლო წარმოების საიდუმლოებას, ან მავნე გავლენას მოახდენს მსაჯულებზე ვერდიქტის გამოტანისას, ამგვარი პიროვნება კანდიდატობიდან დროებით გათავისუფლდება. გამოსაძახებელ კანდიდატთა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით. თუ საქმე გახმაურებულია, მაშინ, კანდიდატთა გაცილებით მეტი რაოდენობა იქნება გამოძახებული, რადგან მოსალოდნელია, იმ დიდი ნაწილის აცილება, რომელიც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა დეტალურად იყოს ინფორმირებული მასმედიის საშუალებით. გამოსაძახებელთა რაოდენობას განსაზღვრავს მოსამართლე. აშშ-ში ჩვეულებრივ შემთხვევაში იძახებენ 36-40 კანდიდატს. ხოლო, გამონაკლის შემთხვევებში, მოწვეულ კანდიდატთა სია, შესაძლოა, გაცილებით დიდი იყოს. გამოსაძახებელ კანდიდატთა ჯგუფში უნდა შედიოდეს ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი. გარდა ამისა, თუ შესაძლებელია, გათავლისწინებული უნდა იყოს გენდერული, რასობრივი, ასაკობრივი, აბორიგენტთა, სხვადასხვა სოციალური ფენებისა და ჯგუფების წარმომადგენლობა. ამერიკაში კანდიდატების შერჩევის სისტემას ყველა ფედერალური სასამართლო თავად ქმნის. კერძოდ, ირჩევენ კომისიას სასამართლოს სხდომის მდივნის და ერთი მოქალაქის

შემადგენლობით, რომლებიც ერთი და იმავე პარტიის წევრები არ უნდა იყვნენ. შემუშავებულია სპეციალური მოწყობილობა კენჭისყრისთვის. კენჭისყრა ტარდება საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით, მდივნის ან მოსამართლის მიერ.²¹

4.1.2 ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა ინგლისში

ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა თორმეტია. ნაფიცი მსაჯული შეიძლება იყოს საარჩევნო სიაში შეტანილი ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე სპეციფიკური მიზეზის გამო არ გამოირიცხება. იგი უნდა იყოს 18-დან 60-მდე ასაკის პირი, 13 წლის შემდეგ მინიმუმ 5 წლით უნდა ცხოვრობდეს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე. ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც მსჯავრი დაედო დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა, ასევე პირი, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში იხდის იხდის პირობით მსჯავრს ან იმყოფება თავდებობის ქვეშ. ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება მოსამართლე და ყველა ის პირი, რომელიც თავისი ფუნქციით უკავშირდება მათმსაჯულების განხორციელებას. ასევე სასულიერო პირები და სულიერად დაავადებული პირები. აგრეთვე ისეთი კატეგორიის პირები, როგორებიც არიან: პარლამენტის წევრები, ექიმები, მედდები, ვეტერინარები, აფთიაქარები, ან ყველა ვინც შეიარაღებულ ძალებში მსახურობს.²²

შერჩეულ კანდიდატს ეგზავნება დანიშნული დღისთვის გვირგვინის სასამართლოში გამოცხადების უწყება. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ, შერჩეული პირები ქმნიან ჯგუფს, რომლიდანაც ინდივიდუალურ საქმეზე შეირჩევა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა. 12 ნაფიცი მსაჯული ამ ჯგუფიდან ღია სასამართლოში გამართული წილისყრის საფუძველზე გამოვლინდება. მას შემდეგ რაც მხარეებს მიეცემათ აცილების დაყენების შესაძლებლობა. აღნიშნულის შემდეგ ნაფიცმსაჯულები დებენ ფიცს და იწყებენ საქმის განხილვას. თუ მოსალოდნელია სასამართლო პროცესის 10 დღეზე მეტხანს გაგრძელება, პერსპექტიულ ნაფიც მსაჯულებს უსვამენ შემდეგ კითხვებს: ხომ არ შეუქმნის ეს მათ პრობლემებს? სასამართლოს მოხელეს ვისაც მსაჯულთა გამოძახება ევალება, შეუძლია დისკრეციულ ნიადაგზე ნაფიცი

²¹ <https://openscience.ge/bitstream/1/1951/1/Jemal%20Gogolashvili%20Samagistro.pdf> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

²² იქვე, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

მსაჯული გაათავისუფლოს ან მოვალეობის შესრულება გადაუვადოს სამუშაო ვალდებულებების, ბავშვის მზრუნველობის ან წინასწარ აღებული შვებულების გამო. მიუხედავად ამისა, მიზეზი არსებითი ხასიათისა უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც წესი, სამუშაოს გამო მოვალეობისგან გაათავისუფლება არ ხდება, თუნდაც პირი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელიც რომ იყოს. საქმის დაწყების განხილვის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია ნაფიცი მსაჯული დაკითხოს დარღვევათა საკმაოდ ფართო სპექტრის გამო, რომელთა შორისაა: არასერიოზული ქმედება, ალკოჰოლი, იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მსაჯულს არ უნდა გააჩნდეს, მიკერძოების გამოვლენა. მოსამართლეს ასევე შეუძლია დაითხოვოს მსაჯული ავადმყოფობის ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის გამო.²³

სხვადასხვაგვარი სირთულის საქმეების განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში კვირები და თვეებიც კი მიმდინარეობს. შედარებით მარტივ საქმეებს 2-4 დღე სჭირდება, კიდევ უფრო მარტივ საქმეებს კი - 11 საათი. იმისთვის, რომ არ მოხდეს ნაფიც მსაჯულებზე ზეწოლა, მათი ვინაობა, ბინის მისამართი და პროფესია გასაიდუმლოებულია. ინგლისში, სასამართლოში გამოცხადებულ კანდიდატებს მხოლოდ სახელით, გვარის გარეშე აცხადებენ. ამასთან, შესაძლებელია, სასამართლოზე ნაფიცი მსაჯულები ისხდნენ ნიღბებში, ან გამოეწყონ ფართო, გრძელ მოსასხამში, რომელიც მთლიანად ფარავს მათ გარეგნობას.²⁴

სისხლის სამართლის საქმის მოსმენის დროს ნაფიც მსაჯულებს არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან. ვერდიქტის გამოტანისას არ აქვთ უფლება, წინასწარ გამოთქვან საკუთარი აზრი განსახილველ საქმეზე. არ აქვთ უფლება, განსახილველი სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ ესაუბრონ პირებს, რომლებიც არ შედიან სასამართლოს შემადგენლობაში. ასევე არ აქვთ უფლება, სასამართლო სხდომის გარეთ შეაგროვონ ცნობები განსახილველ საქმეზე, დაარღვიონ ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოება. ინგლისური სისტემა ნაფიც მსაჯულებს ავალდებულებს, წარდგენილ ბრალდებაზე თქვან "დიახ" ან "არა" იმ სახითვე, როგორც იგი საბრალდებო აქტშია გადმოცემული და ნაფიც მსაჯულებს არა აქვთ უფლება, განიხილონ საკითხი განსასჯელის ნაკლები ბრალეულობის თაობაზე, თუკი ეს გამოვლინდება სასამართლოში.²⁵

²³ [იქვე, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

²⁴ [იქვე, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

²⁵ [იქვე, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

თავი V სასამართლო, როგორც მართლსაჯულების განხორციელების უმაღლესი გამოხატულება

5.1. სასამართლოს როლი და დანიშნულება რეტროსპექტივაში

თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობას მუდამ თან სდევდა უსამართლობის პრობლემა, რომლის წინააღმდეგ ბრძლა და სამართლიანობის დამკვიდრება, როგორც ბოროტზე კითილის გამარჯვების მიზანი, ყველა დროისა დაცივილიზაციის ნიადაგ განსჯილა და ზრუნვის საგანი იყო. ამ კეთილშობილური იდეის აღსრულება ოდითგანვე სასამართლოს ჰქონდა შეთავსებული. სხვა საკითხია, თუ როდის რას ნიშნავდა სასამართლო, ან რა იგულისმხმებოდა ამ ცნებაში, ვინაიდან სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ქვეყანაში სასამართლოს ფუნქციას ასრულებდა მეფე, დარბაზი, დედოფალი და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ საუკუნეების განმავლობაში სასამართლო ძლიერთა ხელში პოლიტიკის განხორციელებისა და კლასობრივი ჩაგვრის იარაღად გვევლინებოდა, მისი ბუნება და დანიშნულება მაინც ყოველთვის სიმართლესთან იყო დაკავშირებული და სამართლიანობის დამკვიდრებას ემსახურებოდა თუ საქმით არა, სახელით მაინც. თვით სისხლიანი რეჟიმებიც კი, უმეტესწილად, საზოგადოებაში მეტი ნდობის მოპოვებისა და ლეგიტიმაციის ამღლების მიზნით, მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას სწორედ სასამართლოს მეშვეობით ლამობდნენ.²⁶

სასამართლო ყოველთვის გამორჩულ და განსაკუთრებულ ინსტიტუციად მოიაზრებოდა ნებისმიერ რელიგიადა და ცივილიზაციაში. მისი მთავარი ფუნქცია იყო სამართლიანობის დამკვიდრება. ამას მოწმობს უამრავი ისტორიული წყარო. საინტერესოა ძველ ახლო აღმოსავლეთში, ძვ.წ. დაახლოებით 1500 წელს, ფარაონ თუთმოს მითითება თავისი ვეზირისადმი; „მოსამართლე ქედს არ იხის ვეზირისა და დიდებულების წინაშე და არ იძმობს ადამიანებს. ყოველივე კანონის მიხედვით გაკეთდეს, სამართლიანად აღსრულდეს და არცერთი ადამიანი არ დარჩეს სამართლის გარეშე“. ძველი ჩინური სამართალიც ხაზს უსვამს სასამართლოე მიუკერძოებლობას და სახელმწიფო წესრიგის დამკვიდრებას სწორედ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტას უკავშირებს. ასევე რომის სამართალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლის აღსრულების დროულობას; „მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება მზის ჩასვამდე უნდა

²⁶ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ. 12 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

გამოიტანოს“. რომში რესპუბლიკის პერიოდში სასამართლო პროცესის ორგანიზაცია ბუნება შეინიშნება:საჯარო წარმოება და კერძო წარმოება . არსანიშნავია, რომ ძველ რომში მართმსაჯულების ინსტიტუტები და პრინციპები ისეთ მაღალ დონეზე იყო განვითარებული , რომ მათი უმეტესება დღესაც საფუძვლად უდევს განვითარებული სახელმწიფოების სასამართლოებს. ძველი ებრაული სამართლის მიხედვით, სასამართლოში სუფებს უფალი, ამიტომ მოსამართლე უკიდურესი სერიუზულობით უნდა იყოს გამსჭვალული და საქმე შიშითა და რიდით უნდა გადაწყვიტოს. აღსანიშნავია, რომ ყურადღება ექცევა მოსამართლის ცოდნას: „ის დამნაშავეს გაამართლებს და უდანაშაულოს დასჯის, არა იმიტომ, რომ ბოროტია, არამედ იმიტომ, რომ მას ცოდნა არა აქვს“. მაშასადამე, სასამართლოს ოდითგანვე ჰქონდა გარკვეული მოთხოვნები, რომლის შესრულებაც სავალდებულოდ ითვლებოდა. ძველი ცივილიზაციები ცალსახად აღიარებენ სასამართლოს განსაკუთრებულ ბუნებასა და დანიშნულებას. ამ კუთხით საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს ძველ ქართულ სამართალს.ქართულ სამართალში მოსამართლეობა გამგებლობასა და მართვას ნიშნავდა. ვინაიდან ფეოდალურ ეპოქაში სასამართლო ხელისუფლება გადაჯაჭვული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, ამიტომ სასამართლოს ფუნქციებს სხვადასხვა ეპოქებში ირგებდნენ: მეფე, დარბაზი, მდივანბეგი, ხევსთაბი და ა.შ. ვინაიდან არ არსებობდა გასაჩივრების ზემდგომი ინსტანციები, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამონაკლისის სახით მაინც მეფესთან შეიძლებოდა უსამართლო განაჩენის გასაჩივრება. მეფის განაჩენი კი არავითარ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა. მას ვერც ერთი ფეოდალი ვერ აღუდგებოდა წინ. მეფეს შეეძლო თავისი ინიციატივით გადაესინჯა ნებისმიერი განაჩენი ან შეეჩერებინა მისი აღსრულება. მაშასადამე, მეფე, როგორც უმაღლესი მმართველი, უმაღლესი მოსამართლის მანტიითაც იყო შემკული.²⁷

ძველ საქართველოში გვხვდება ასევე განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო. ასეთ სასამართლოს ნიშნავდა მეფე კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად და იგი სხვა საქმეებს აღარ განიხილავდა. ასეთ შემთხვევებში მეფეს შეეძლო დაენიშნა არამოსამართლე პირიც საქმის გასარჩევად, რომელიც საქმის განხილვის პერიოდში მოხელედ ითვლებოდა და კანონით იყო დაცული .²⁸

სასამართლო სხდომები საჯარო იყო. მხარეები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ, თუ ისინი ფეოდალური იერარქიის ერთ საფეხურზე იდგნენ. ,, სასამართლო მოისმენდა მხარეების ჩვენებას, გასინჯავდა მათ მიერ წამოყენებულ საბუთებს, შეამოწმებდა საბუთების სისწორეს,

²⁷ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkenjeridze.pdf> გვ 14 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

²⁸ ვახტანგის სამართლის წიგნი. გვ 207

დაკითხავდა მოწმეებს, მოახდენდა ადგილობრივ დათვალიერებას და, თუ საჭირო იყო მოიწვევდა ექსპერტებსაც.²⁹

ყურადსაღებია მდივანბეგის, როგორც უფროსი მოსამართლის, პიროვნების შერჩევის კრიტერიუმები. იანე ბატონიშვილის მიხედვით, მდივანბეგი უნდა ყოფილიყო მამულის ერთგული კაცი, ამასტავევე დიდი კაცის შვილი, რომ არავისი შეშინებოდა, „ სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არა ენას რა; მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს... ჭკვიანი, საზოგადო გულისა, რომ თვის მონათესავეს, მეგობარს არ მიედგეს და იმის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი.³⁰

კანონმდებელი იმ ადამიანის სავალდებულო პირად თვისებებსაც არწერს, რომელსაც სამართალი უნდა გაეჩინა: „ მოსამართლე დიდათ მჩხრეკელი, მიმხუდარი და გამომძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონი, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი..სხვათა მკითხველი.... მარტო მოჩივარს სამართალი არ იყოს, მეორეც დაიბაროს, ორივე ერთად ალაპარაკოს მოწმედ, კითხვით და გამოძიებით, მითს საჩვრის მართლად შეტყობას ეცადოს.“ მაშასადამე , ძველ ქართულ სამართალში შეინიშნება მოსამართლეთა პროფესიონალური თვისებების, შეუვალობის, მიუკერძოებლობის, უფლებრივი განსჯადობის, მოსამართლედ დანიშვნის კრიტერიუმებისა და სასამართლო პროცესის გამჭვირვალობის მნიშვნელოვან ელემენტები.³¹

²⁹ ე.თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტომი 3 გვ. 470,

³⁰ ი. კალმასობა. ტომი1. კ. კველიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით.1936,გვ. 203

³¹ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. შ. მესხიას რედაქტორობით.1948.გვ. 53

5.2 სასამართლოს თანამედროვე გაგება

გაეროს ძირითადი პრინციპების მიხედვით, ყველას უნდა ჰქონდეს უფლება გასამართლდეს ჩვეულებრივი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ჩვეულებრივი სასამართლოებისა და სასამართლო ტრიბუნალის კომპეტენციაში მყოფი საკითხები არ უნდა გადაეცეს იმ ტრიბუნალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადოდ ჩამოყალიბებული იურიდიული პროცესუალური ნორმები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, სასამართლოს ფუნქცია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების განუყოფელი ნაწილია. სასამართლოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყველა ის ორგანო, რომელიც აკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართალწარმოების პროცედურულ გარანტიებს. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, იმისათვის, რომ რომელიმე ორგანო სასამართლოდ იქნეს მიჩნეული, უცილებელია სასამართლოსათვის სავალდებულო პროცესუალური ნორმების დაცვა. საქმეში ბელილოსი შვეიცარიის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს დამახასიათებელი ნიშანი, მატერიალური თვალსაზრისით, მისი იურიდიული როლით განისაზღვება. ამ ორგანოს მნიშვნელობას სწორედ მისი სასამართლო ფუნქციის შესრულება განაპირობებს. სასამართლოს ფუნქცია კი გულისმობს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტას სამართლის ნორმების საფუძველზე და დადგენილი პროცედურული წესების დაცვით. ამასთანავე, „იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს-დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მიუკერძოებლობა, წევრების თანამდებობაზე ყოფნის ვადა, საპროცესო ნორმებით განვალისწინებული გარანტიები რომელთაგან უმეტესობა მოცემულია მე-6(1) მუხლში“.³²

სტრასბურგის სასამართლოს თვალსაზრისით, აუცილებელი არ არის სასამართლოში საქმის განხილვის წესი ყოველთვის ერთი და იგივე იყოს. მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მხარეებისაგან, ასევე აუცილებელია არსებობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო სამართალწარმოების გარანტიები. საქმეში ბორმატინი საფრანგეთის წინააღმდეგ, ევროპული სასამართლო სასამართლოს დასახელებას კონვენციის მე-6(1) მუხლის ჭრილში შემდეგნაირად განიხილავს: „ ორგანო, რომელიც სარგებლობს სრული იურისდიქციის უფლებით და პასუხობს მოთხოვნათა მთელ

³² <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ 18 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

სერიას, როგორცაა მაგალითად აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა“. იმავეს ამბობს სტრანსბურგის სასამართლო საქმესი დიდიე საფრანგეთის წინააღმდეგ, სადაც სახელმწიფო საბჭო (Conseil d'Etat) მიჩნეულ იქნა სრული იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოდ, ვინაიდან იგი სრულად აკმაყოფილებდა კონვერციით გათვალისწინებულ სასამართლო გარანტიებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლოდ აღიარებს ყველა იმ ორგანოს, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს. მთავარ მოთხოვნად იგი აყენებს კონვერციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს. აღნიშნული გარანტიების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ორგანო შეიძლება იქნეს მიჩნეული სასამართლოდ. ამ გარანტიებიდან კი პირველ ადგილს სასამართლოს დამოუკიდებლობა იკავებს, რაც შეეხება საქმის განხილვის წესს, იგი შეიძლება განსხვავებული იყოს. ამგვარად, სასამართლოდ შეიძლება მივიჩნიოთ: ორგანო. რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებას, საკუთრივ მოსამართლეებს, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, და მექანიზმს, რომლითაც ხორციელდება მართლმსაჯულება.³³

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სასამართლოსთან მიმართებაში, შეიძლება მოვიაზროთ სამი ფილოსოფიური კატეგორია: სამართლე, სამართალი და სამართლიანობა. სამართლე ფილოსოფიის შემეცნებითი კატეგორიაა, რომლის მიხედვითაც დგება ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობის საკითხი. ეს არის შესაბამისობა არსებულსა და იმ ფაქტებს შორის, რაც ჩვენს რეალობასი იქნა ასახული, რომლებიც არსებობს და რომლებიც ადამიანის ცნობიერს შეეხება. სამართალი არის სამართლიანობის დამკვიდრების საშუალება. ეს არის მექანიზმი, რომლითაც ხერხდება სამართლიანობის მიღწევა. შინაარსობრივად ამ სიტყვის ფუძე „მართი“-სგან, ანუ სწორისგან წარმოსდგება და ამის საფუძველზე შეიძინა მან სამართლის მნიშვნელობა. უზენაეს და ჭეშმარიტ ცნებად მიიჩნებს სამართალს ივანე ჯავახიშვილი, რითაც ხაზს უსვამს სამართლის უნიკალურობასა და უზენაესობას. სამართალი არის ის, რაც „ თითოეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება დამოკიდებულია უზენაეს და ჭეშმარიტ განსაზღვრულ მცენად მიაჩნია“. სამართლის მთავარი ფუნქციაა მოაწესრიგოს ადამიანთა ურთიერთობა იმგვარად, რომ ადამიანთა ცხოვრება გახდეს სტაბილური, ჰარმონიული და სამართლიანი. სახელმწიფოს მთლიანი საქმიანობა შეზღუდული უნდა იყოს სამართლიდ. მაშასადამე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი, რომელსაც სამართალს უნდა უსახავდეს, და რომელსაც ისედაც ქვეცნობიერად უსახავს, კაცობრიობა, არის სამართლიანობის მიღწევა, სწორედ სამართლის მეზვეობით მიიღწევა

³³ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkenjeridze.pdf> გვ 19 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

სამართლიანობა, რომელიც არის შედეგი, რომლისკენაც საზოგადოება მიისწრაფვის უკეთესი ცხოვრების მისაღწევად.³⁴

სამართლიანობა არის მართებული, სათანადოდ, დამსახურებულად განაწილების პრინციპი, ანუ ყველას ის უნდა მიეზღოს, რასაც იმსახურებს. სამართლიანობის იდეა სრულად გვხვდება სახარებაში: „ როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექცევით მათ, ვინაიდან ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი“. სამარალი, როგორც სამართლიანობის მიღწევის საშუალება, სხვადასხვა დროში და სახელწიფოში, საკანონმდებლო ხელისუფლების ნების მიხევით, შეიძლება განსხვავებულად გამოვლინდეს, რადგან იგი შეიძლება მეტწილად იყოს გამყარებული სამართლიანობით, მაგრამ, სამართლიანობა თამამად შეიძლება ვაღიაროთ, როგორც ადამიანური ღირებულებების მარადიულობა. რა თქმა უნდა , აბსოლუტურ განზომილებაში არასდროს იქნება სამართლიანობის სრული განცდა, ვინაიდან ყოველთვის წარმოიშვება ცალკეული გამრუდებანი, მაგრამ მთავარია, ეს გამრუდებები იყოს იმ დოზით, რა დოზითაც საზოგადოება შეძლებს გააგრძელოს ნორმალური არსებობა და ფუნქციონირება, როგორც კი უსამართლობა გადააჭარბებს ზღვარს, სადაც ირღვევა ადამიანთა თანაცხოვრების ბალანსი, სახეზე იქნება სახელწიფოებრიობის ნგრევა და სრული ქაოსი, უნდა მოხდეს აღდგენა მისი, და როცა მოხდება აღდგენა, ამის შემდგომ შეიძლება ვიზრუნოთ იმაზე, რომ ვიცხოვროთ სამართლიან საზოგადოებაში და სამართლიანობამ დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი“.

სწორედ სასამართლოა ყველაზე გამორჩეული ინსტიტუცია სამართლიანობის მისაღწევად, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია. ძნელი წარმოსადგენია სხვა უდრო ეფექტიანი ორგანო სამართლიანობის დასამკვიდრებლად, რომლსაც სამართლის მეშვეუობით უნდა მიაგოს ყველას ის, ვინც რას იმსახურებს, ანუ აღასრულოს სამართლიანი განაწილების პრინციპი, სასამართლოს როლი და ფუნქცია სწორედ სამართლიანობის იდეას აღსრულებას უნდა ემსახურებოდეს. „ ყველა სხვა სისტემის ჩამოშლის შემთხვევაში, სასამართლო რჩება, როგორც ბოლო ციხესიმაგრე, სამართლით გამოხატული უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“. სამართლიანობის აღსრულებას სასამართლო მართლმსაჯულების გზით ახორციელებს. მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა, ნიშნავს სასამართლოს მიერ სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეების განხილვა-გადაწყვეტას, ესე იგი კანონით დაცული სიკეთის სასამართლო წესით დაცვას და სამართლიანობის დამრღვევთა მიმართ სახელმწიფო იძულებით ღონისძიების გამოყენებას. მართლმსაჯულებას გააჩნია თავისი პრინციპები, რაც

³⁴ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkenjeridze.pdf> გვ 20 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

ადამიანის უფლებების დაცვის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს. მაგალითად, კლევიალობა, შეჯიბრებითობა, თანასწორუფლებიანობა და ა.შ.

მართლმსაჯულების აღსრულებას განეკუთვნება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაც. „კონსტიტუციონალიზმის იდეა გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლების განხორციელებას უნდა არეგულირებდეს წესები, რომლებშიც გაწერილია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების აღსრულების პროცედურები და დადგენილია მათი შინაარსის დასავეები საზღვრები“. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია არის განსხვავებული, გამომდინარე იქიდან, რომ ის სასამართლო კონტროლს ახორციელებს იმ თვალსაზრისით, არის თუ არა რომელიმე კანონი კონსტიტუციის შესატყვისი, მაგრამ აღნიშნული ფუნქცია მართლმსაჯულების საერთო სისტემის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. ჰანს კელენზმა საკონსტიტუციო სასამართლოს უწოდა ნეგატიური კანონმდებელი. საკონსტიტუციო სასამართლო არ იღებს კანონებს, არამედ, კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, აუქმენს მათ. ესე იგი კანონმდებელია მხოლოდ გაუქმების ნაწილში. მართლმსაჯულების განხორციელება არ არის მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესი, მართლმსაჯულებას განეკუთვნება ასევე გამოძიებისა და აღსრულების სტადიებიც. წინასწარი გამოძიების დროს გამომძიებელსაც ისევე აქვს საქამის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიების ვალდებულება, როგორც მოსამართლეს. რაც შეეხება აღსრულებას, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეფექტიანი მართლმსაჯულება. არ არსებობს ეფექტიანი მართლმსაჯულება ეფექტიანი აღსრულების გარეშე. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება თანაბრად მოიცავს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ევროპული სასამართლოს მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სამართლიანი სასამართლოს (კონვენციის მე-6 მუხლი) კონტექსტში განიხილება: „ ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „ სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განხორციელდეს“.

5.3 სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც სამართლიანი მართლსაჯულების განხორციელების ფუნდამენტი

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგი მართლსაჯულების ფუძემდებლურ პრინციპად შეიძლება ვაღიაროთ, ვინაიდან, თუ ეს პრინციპი დაირღვა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი შეირყა, ყველა სხვა პრინციპი ინერტული და აზრს კოკლებული აღმოჩნდება. შეუძლებელია ვიმსჯელოთ სასამართლოს მიუკერძოებლობაზე ან ქმედითობაზე, თუ მისი დამოუკიდებულება ექვევებ დადგა. შესაბამისად, ყველა სხვა მოთხოვნა, რომელიც სასამართლოს წარედგინა, სწორედ მისი დამოუკიდებელი ბუნებიდან მომდინარეობს. “მიზეზი, თუ რატომ არის სასამართლოს დამოუკიდებლობა ასეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის, არის ის, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როდესაც მასში ბატონობს სამართალი და კანონი... რომლებიც ერთნაირად ზღუდავენ მათ, ვინც მართავს, და მათაც, ვისაც მართავენ... ამ საპასუხისმგებლო ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელია, რომ მოსამართლეები იყვნენ დამოუკიდებლები და ასეთებად აღიქმებოდნენ “. აღნიშნული პრინციპის დაცვა სავალდებულოა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. „არც კანონმდებელს და არც მთავრობას არ შეუძლიათ... სასამართლოებისათვის მითითებების მიცემა ან მათი ჩანაცვლება“. სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის პრინციპი არის ერთ-ერთი მთავარი პირობა იმისათვის, რომ სასამართლო ხელისუფლებამ საზოგადოების მიმართ ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს. „ დამოუკიდებლობა არის... ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რომელიც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას- ენდონ სასამართლო სისტემას“.³⁵

დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ უფლება, არამედ იგი სასამართლოს ვალდებულებაცაა, რომელიც აკისრია მოსამართლეს, იმ ადამიანთა დაცვის მიზნით, ვინც სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართავს. „ დამოუკიდებლობა... არ არის პრივილეგია, რომელიც მოსამართლეს მინიებული აქვს მისივე ინტერესების დაცვის მიზნით, არამედ იმ მიზნით, რომ დაიცვას კანონის უზენაესობის და იმ ადამიანების ინტერესები, ვინც ეძებს სამართლიანობას და აქვს მისი მიღების მოლოდინი“. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვისგან ან რისგან უნდა იყოს სასამართლო დამოუკიდებელი? რა თქმა უნდა, ხელისუფლების სხვა განშტოებებისაგან

³⁵ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ35 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

(აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისაგან), შიდა ადმინისტრაციული დავლენებისაგან, ასევე მხარეებისა და ყველა სხვა პირისაგან.³⁶

მაშასადამე, სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ იგი არის ხელისუფლების ერთ-ერთი დამოუკიდებელი განშტოება, რომლის გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ვერ ახდენენ ვერც გარე ფაქტორები, სხვა სახელისუფლებო განშტოებები, ფიზიკური და იურიდიული პირები, და ვერც სასამართლოს შიდა სტრუქტურული ადმინისტრაცია. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს ბალანსი სასამართლოს ანგარიშვალეულებასა და მის დამოუკიდებლობას შორის.

სასამართლოს დამოუკიდებლობა, როგორც სწორი მართლმსაჯულების ფუნდამენტი, განმტკიცებული იქნა გაეროს 1985 წლის დოკუმენტში „ ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“. სასამართლოს დამოუკიდებლობა აღნიშნულ დოკუმენტში ფართო გაგებით არის მოცემული, ვინაიდან მასში ასახულია მართლმსაჯულების განხორციელების სხვა პრინციპებიც, რომელთა დაცვა საელტო ჯამში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, „ სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას“. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა მთავარ პრინციპად მიიჩნევა სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, სადაც სასამართლოს უპირველეს ღირებულებად დასახელებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა: „ სასამართლო დამოუკიდებლობა არის ... სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური გარანტის წინაპირობა“.³⁷

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი აღიარებულია ასევე რეგიონული საერთაშორისო აქტებით. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს დამოუკიდებლობას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოდ აცხადებს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას და მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას საქმე გონივრულ ვადებში, სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მოიკერძოებელმა სასამართლომ“. კონვენციის აღნიშნული მუხლი სასამართლოს დამოუკიდებლობის ქვაკუთხედად

³⁶ იქვე. გვ 36 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

³⁷ იქვე გვ 37 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

აღიქმება არა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი სახელწიფოების, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისათვის.³⁸

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი დაუცლია ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, მისი საქმე სათანადო გარანტიებითა და გონივრულ ვადებში მოისმინოს კოპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“. ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტიის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე განხილულ იქნეს. ამას განეკუთვნება:... (ე) მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადებში განხილვა“. სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ მიღებულია უამრავი რეკომენდაცია ევროპის საბჭოს ფარგლებში. მაგალითად, 2010 წლის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში აღნიშნულია: „მოსამართლეები საქმეთა მოიკერძოებლად, კანონისა და ფაქტების მათეული ინტერპრეტაციის საფუძველზე გადასაწყვეტად დაუბრკოლებელი თავისუფლებით უნდა სარგებლობდნენ“. გვაქვს ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებული მრავალმხრივი შეხვედრების დასკვნები. მნიშვნელოვანია ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპი ქარტიის ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ. აღნიშნული დომკუმენტები ცალსახად აღიარებენ სასამართლოს დამოუკიდებლობას და მონაწილე ქვეყნებს ამ პრინციპის განუხრელად დაცვის ავალდებულებენ.

³⁸ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkenjeridze.pdf> 83 37 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

5.4 სასამართლოს ინსტიტუციური დამოკიდებულება

ინსტიტუციური თვალსაზრისით, სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს ხელისუფლების განშტოებებს შორის ბალანსის იმგვარად დაცვას, რომ სხვა განშტოებებს თანამდებობრივად არ ჰქონდეთ უფლება და შესაძლებლობა ჩაერიონ ან რაიმე ფორმით გავლენა მოაღწიონ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე. სასამართლო თანაბრად უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან და სამივე ხელისუფლების ფუნქციები მკაფიოდ უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული.³⁹

საქმეში ბაჰამონდე ეკვატორული გვინეა წინააღმდეგ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ ვინაიდან სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები მკაფიოდ არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული, ამიტომ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან შესაძლებელია სასამართლო ხელისუფლების კონტროლი და მართვა. აღნიშნული კი შეუთავსებელია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ცნებასთან პაქტის მე-14(1) პარაგრაფის კონტექსტში. შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც სასამართლოს ფუნქციას ასრულებენ, შეუძლებელია ჩაითვალოს დამოუკიდებელ სასამართლოდ.⁴⁰

საქმეში „ლაუკო სლოვაკეთის წინააღმდეგ“ იმ ორგანოს გადაწყვეტილებები, რომელთან ლაუკოს სამქე განიხილეს, არ ექვემდებარებოდა იურიდიული ორგანოს გადასინჯვას, რომელიც კონვენციის მე-6 (1) მუხლის გარანტიებს დაიცავდა. ვინაიდან აღნიშნული ორგანოები ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს და თანამდებობის პირები ინიშნებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ამიტომ ისინი მოკლებულნი იყვნენ გარე ზეწოლისაგან დაცვის გარანტიებს, არ ქმნიდნენ დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას. სასამართლოს პოზიციით, მსგავსი ორგანო შეუძლებელია ჩაითვალოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. საქმეში ლე კონტი, ვან ლოვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ ევროპის სასამართლო სასამართლოდ მიიჩნევს მხოლოდ ისეთ ორგანოს (სხვა მოთხოვნებთან ერთად), რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან არის დამოუკიდებელი.⁴¹

მაშასადამე, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან წარმომადგენლები არ შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ მოსამართლეებად, ვინაიდან მოსამართლე არა მხოლოდ დამოუკიდებელი უნდა

³⁹ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ 38 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

⁴⁰ იქვე, გვ. 38 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

⁴¹ იქვე, გვ. 39 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

იყოს, არამდე დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. რაც შეეხება მოსამართლის ხშირ სამსახურეობრივ კონტაქტს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგელებთან, მსგავსი შემთხვევა შეულებელია მივიჩნიოთ ისეთ შემთხვევად, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას აფერმკთალებს. საქმეში „კემპბელი და ფული გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლო დაასკვნის, რომ შთაბეჭდილება, რომელიც პატიმარს გააჩნია კომიტეტისა და ციის ადმინისტრაციას შორის მჭიდრო სამსახურეობრივი ურთიერთობის თაობაზე, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, მართალია, იგი აწესრიგებს სასამართლო ხელისუფლების მოწყობასა და უზრუნველყოფს მას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით, მაგრამ ამის შემდგომ რაიმე ფორმით ჩარევა არ მის მიერ სასამართლოს ფუნქციების შესრულება დაუშვებელია. თავად ის ფაქტი, რომ სასამართლო სახელმწიფო მმართველობის სამ განშტოებას შორის ერთ-ერთი დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი რგოლია, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს. „სასამართლოს დამოუკიდებლობის საგარანტიო პირობა არის ერთი მხრივ, ხელისუფლების დანაწილება და გამიჯვნა, მეორე მხრივ, ამ ხელისუფლების შროებს შორის წონასწორობის, ბალანსის შენარჩუნება და ამ მიზნით ურთიერთკონტროლის განსაზღვრული უფებამოსილებებით მათი აღჭურვა“. მართალია, სასამართლო ხელისუფლება „ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ხელისუფლების სხვა შტოები“. მაგრამ ეს სამი განშტოება, თანაბრად ეწევა სახელისუფლებო ჭაპანს. აღნიშნული სამეული შეიძლება შევადაროთ რუსულ მარხილში შებმული ცხენების სამეულს, თუმცა აღნიშნულ მაგალითში რაღაც დოზით შეიძლება მაინც დაირღვეს თანასწორობა. უფრო ზუსტი ილუსტრაცია წარმოდგენილია ამერიკული სქემის სახით, სადაც წრეში მოცემულია თანაბარი მნიშვნელობას უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს. ხელისუფლების ამ განშტოებათა შორის წონასწორობის დაღვევა გამოიწვევს დიქტატურის უკეთ შემთხვევაში კი- ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბებას, ან პირიქით, ხელისუფლების პარალიზებას ან შეფერხებით მუშობას. მონტესკიეს მტკიცებით, სასამართლოს ხელისუფლების სხვა განშტოებებისაგან განცალკევება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ მოსამართლე მიერთებულია აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაშინ იგი იძენს მჩგვრელის ძალაუფლებას. სამივე ხელისუფლების გაერთიანება ნიშნავს „პიროვნებისა და თავისუფლების, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების აბსოლიტურ სიკვდილს“.⁴²

⁴² <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ.40 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

ხელისუფლება ამგვარი განაწილება „ყოველთვის მიიჩნეოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპად“. თუ მოსამართლეს და კანონმდებელიც ერთი და იგივე პირია, მოქალაქეთა თავისუფლებას საფრთხე მოელის, რადგან „ მოსამართლეს ყოველთვის შეუძლიან ამა თუ იმ შემთხვევაში კანონი შესცვალოს და ისეთი კანონი გამოსცეს, როგორც საჭიროა მისთვის. სასამართლო და აღმასრულებელი დაწესებულებანი რომ ერთად აურიოთ, ყოველ მოსამართლეს შეუძლიან ტირანად გადაიქცეს, მმართველობის დროს ის ყოველ ნაბიჯზე დაარღვევს კანონს და სასამართლოში თავისთავს თვითონ გაასამართლებს“, ამგვარად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საწინდრად.⁴³

დღესდღეობით ევროპაში არ ცხრება დავა ასევე ხელისუფლების მეოთხე, სრულიად დამოუკიდებელ განშტოებაზე, რომელსაც დაეკისრება მაკონტროლებელი ფუნქცია. მასში შეიძლება შედიოდეს ორგანოთა ჯგუფი, რომლის მოვალეობას არ წარმოადგენს არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი და არც სასამართლო ფუნქციის განხორციელება. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პროკურატურა. იგი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც არა მხოლოდ იძიებს საქმეს, არამედ ახორციელებს საპროცესო ზედამხედველობას ყელა იმ უწყებაზე, სადაც საგამოძიებო საქმიანობა ტარდება. გამოძიება ეს არის პროცესი, როდესაც ხდება მტკიცებულებების მოძიება, გამოკვლევა და შესწავლა, მაშასადამე ეს არის იგივე სასამართლო, ოღონდ დახურული ტიპისა. ფრანგულად გამოძიებელს ეწოდება Juge d'instruction, რაც სიტყვასიტყვით საქმის შემსწავლელ მოსამართლეს ნიშნავს. გამოძიებელი სასამართლოს ეტაპებმდე ახდენს მტკიცებულებების შესწავლას, ხოლო სასამართლოზე ხდება უკვე საქვეყნოდ ამ მტკიცებულებების გამოკვლევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, გამოძიება, რომელიც საქმის შესწავლის დახურულ პროცესს ახორციელებს, არ შეიძლება იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი და იგი ხელისუფლების მეოთხე განშტოებად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

⁴³ იქვე, გვ.40 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

5.5 მანდატის ხანგრძლივობა

სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი წინაპირობაა ასევე მოსამართლის მანდატის ხანგრძლივობა. მოსამართლის უფებამოსილების ვადის შეზღუდვის შემთხვევაში, განსაკუთრებით მანდატის მიწურულს, ისინი შეიძლება მოექცნენ მათი გავლენის ქვეშ, ვინც თავიდან უნდა დაინიშნოს ან არიჩიოს. ამიტომ, ევროპული სტანდარტი უპირატესობას ანიჭებს მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოთ განწესებას. ვადის შეზღუდვის მოხსნით და თანამდებობაზე უვადოდ გამწესებით, გაცილებით დიდია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის შინაგანი განცდა.⁴⁴

სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო პრინციპების მიხედვით, „ არჩეულ თუ დანიშნულ მოსამართლეებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის ვადა საპენსიო ასაკამდე ან მათი მოსამართლედ ყოფნის ვადის ამოწურვამდე, თუ ასეთი არსებობს“. საქართველოში 2012 წლის 17 ნოემბრიდან ამოქმედდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის წესს. მოსამართლეებს ექნებათ 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა, რის შედეგაც გადაწყდება საკითხი მათი უვადოდ დანიშვნის შესახებ. 3 წლის განმავლობაში მუდმივად მოხდება მოსამართლეების გადამოწმება პირველი წლის ბოლოს, მე-2 წლის ბოლოს და მესამე წლის დასრულებამდე 4 თვით ადრე. ანუ მოხდება მოსამართლეების მუდმივი კონტროლი, მათი საქმიანობის შეჯახება და შეფასება.⁴⁵

მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება უახლოვდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში ჩარევის ზღვარს, მაგრამ იგი გარდაუვალია, ვინაიდან მოსამართლის საქმიანობა უნდა იყოს გამჭირვალე და მისი საქმიანობა არ უნდა რჩებოდეს ყურადღების მიღმა. აქ მნიშვნელოვანია, ვინ აკეთებს ამ შეფასებას. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეთა შემფასებლები არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრები. აღნიშნული წესი დემოკრატიულ მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ შესაძლებელია უკეთეს მოდელზე ორიენტაციის გაკეთებას, კერზოდ, პოლონურ მოდელზე, რომელიც „ვიზიტორებს“ არჩევის კონცეფციას გვთავაზობს: სააპელაციო სასამართლოს ყველა მოსამართლე ირჩევს რამდენიმე „ვიზიტორს“, რომლებიც ამზადებენ შეფასებებს სასამართლოს თავმჯდომარისათვის. ეს ვიზიტორები აირჩევიან განსაკუთრებით გამოცდილ და კვალიფიციურ მოსამართლეთა რიგებიდან, შესაბამისად, შეფასების მაღალკვალიფიციურობაც ნაკლებ ევებს აღძრავს.

⁴⁴ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ.47 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

⁴⁵ იქვე, გვ. 49 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

ცვლილებები შევიდა საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლშიც, რომლის მიხედვითაც მოცემულია ორი ალტერნატივა: მოსამართლის უვაოდ გამწესება და უვაოდ გამწესებამდე განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 წლამდე დანიშვნა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი უნდა დარეგულირდეს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.⁴⁶

აღნიშნული ჩანაწერის ამოქმედების შემდგომ დღემდე, არცერთი მოსამართლე არ დანიშნულა უვაოდ და ყველა გადის გამოსაცდელ ვადას. ამასთან, <<საერთო სასამართლოების შესახებ>> საქართველოს ორგანული კანონი დღემდე არ ითვალისწინებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სავალდებულო წესს, თუ როგორ უნდა დაინიშნოს მოსამართლე უვაოდ. კანონი იძევა მხოლოდ გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობას. ამიტომ, აუცილებელია, რო ორგანულ კანონში განისაზღვროს მოსამართლეთა უვაოდ დანიშვნის წესიც, რათა შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციასთან და არ მოხდეს კონსტიტუციის ორი ალტერნატიული ვარიანტიდან მხოლოდ ერთის პრაქტიკაში დამკვიდრება.

5.6 დაფინანსება

სასამართლოს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას მჭიდროდ უკავშირდება მისი დაფინანსების საკითხი. შეუძლებელია მარლმსაჯულების დამოუკიდებლობა სათანადოდ იყოს გარანტირებული, თუ სასამართლოს არ გააჩნია ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელი სახსრები. ამასთან, პარლამენტის მიერ სასამართლოს ბიუჯეტის მიღების დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას თავად სასამართლოს აზრი, ვინაიდან მოსამართლის ხელფასი მისი დამოუკიდებლობის ერთგვარი გარანტიაა. სასამართლოების დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილია და არ შეიძლება იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე. დაუშვებელია სასამართლო თუდაც ნაწილობრივ დაფინანსდეს რომელიმე კერძო პირის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნული წესის დაცვა აუცილებელია დამოუკიდებლობის ხარისხის შესანარჩუნებლად, ვინაიდან თუ სასამართლო ფინანსდება კერზო

⁴⁶ იქვე, გვ.49 [უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021](#)

პირისაგან, ან რომელიმე ეროვნული თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, იგი ყოველთვის მოექცევა დამფინანსებლის გავლენის ქვეშ და მისი ინტერესების დამცველი და გამტარებელი იქნება.⁴⁷

აშშ-ში მოსამართლეთა ფინანსური დამოუკიდებლობა კონსტიტუციითაა განსაზღვრული: „თავიანთი სამსახურისათვის მოსამართლეები კომპენსაციას მიიღებენ მითითებულ დროს, რომელიც თანამდებობაზე მათი ყოფნის განმავლობაში არ შემცირდება“. ზოგიერთი ქვეყანა თავად მიმართავს პარლამენტს სასამართლოს ბიუჯეტის დასამტკიცებლად, ასეთი ქვეყნის რიცხვს განეკუთვნება: ესტონეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი, სლოვენია და ა.შ. რუსეთის მოსამართლეთა გაერთიანება უშუალოდ მონაწილეობს სასამართლოს სახსრებთან დაკავშირებით ფედერალური ბიუჯეტის განხილვის დროს ფედერალური კრების პალატებში. შვეიცარიის ფედერალურ უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, სამი მოსამართლისგან შემდგარი ადმინისტრაციული კომისიის მოწონებული საკუთარი ბიუჯეტი წარუდგინოს ფედერალურ პარლამენტს, ხოლო სასამართლოს თავჯდომარესა და გენერალურ მდივანს შეუძლიათ ბიუჯეტი განხილვისას პარლამენტსი გამოსვლა. ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დადგენილია პრინციპი, რომლის შესაბამისად, თითოეულ სასამართლოს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტის უფლება. დანიაში კოორდინატორის როლი დაკისრებული აქვს ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომლის ხელმძღვანელ კომიტეტში უმრავლესობას წარმოადგენენ სხვადასხვა სასამართლოთა მოსამართლეები. შვედეთში ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს სპეციალური სამთავრობო ორგანო- ნაციონალური სასამართლო ადმინისტრაცია, რომელმაც უნდა მოამზადოს სამწლიანი უწყვეტი ბიუჯეტი.⁴⁸

დამოუკიდებლობის პირველ წლებში ამ მზრივ ძალიან რთული ვითარება იყო ქართულ სასამართლო სისტემაში. მოსამართლეთა ძალიან დაბალი ხელფასი ვერ უზრუნველყოფდა ცხოვრების მინიმალური პირობების დაკმაყოფილებას, რაც სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობას უწყობდა ხელს. 2004-2005 წლებში, ქართული სასამართლო სისტემა ფინანსდებოდა უცხოური ორგანიზაციიდან. აღნიშნულით იგნორირებული იყო მართლმსაჯულების საბიუჯეტო გარანტიები, რაც მნიშვნელოვნად ხელყოფდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ არც მაშინ და არც შემდგომ, ამ ფაქტზე არავითარი რეაგირება არ მომხდარა. ამჟამად, საქართველოში საერთო სასამართლოების დაფინანსების პროექტს მთავრობას წარუდგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. პარლამენტსი პროექტის განხილვამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო

⁴⁷ <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelneridze.pdf> გვ.53 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

⁴⁸ იქვე.გვ. 53 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

უფლებასილია პარლამენტს წარუდგინოს მოსაზრებები დაფინანსების თაობაზე. უზენაისი სასამართლოს ხარჯების პროექტს მთავრობას წარუდგენს უზენაისი სასამართლოს თავმჯდომარე.⁴⁹

⁴⁹<http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkenjeridze.pdf> 83.54 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 18.06.2021

თავი VI კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიული მასალის მეშვეობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე. დასაწყისში სწორედ ამ გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ. შემდეგი თავი ეხება სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის არსა და წარმოშობის ისტორიას, შემდეგ კი განხილულია სასამართლოს როლი და უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში. მომდევნო თავში განხილურია საკითხი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა საქართველოში, ასევე პარალელი გავავლე საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის.

თემაზე მუშაბის დროს გამოვიყენე შედარებითი ანალიზის მეთოდი აშშ-ს, ინგლისისა და საქართველოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტებს შორის განსხვავებაზე, რომელთა შედარებით ქართულ კანონმდებლობასთან დავინახეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი იყო ნაფიც მსაჯულთა შენიღბვა, როდესაც მიმდინარეობს ნაციფ მსაჯულთა სასამართლო ინგლისში ნაფიც მსაჯულები არიან შენიღბულნი და მათი ამოცნობა შეუძლებელია ან შეიძლება გამოეწყონ ფართო, გრძელ მოსასხამში, რომელიც მთლიანად დაფარავს მათ გარეგნობას.

რაც შეეხება შემდეგ თავს, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი გამოხატულებაა. ამ თავში გაერთიანებულია სასამართლოს როლი და დანიშნულება რეტროსპექტივაში, ასევე არის სასამართლოს თანავედროვე გაგება და სასამართლოს დამოუკიდებლობა. ამ თემების გასავეცრობად გამოვიყენე ისტორიული მეთოდი რომელიც დამეხმარა უკეთ წარმომეჩინა ნაშრომი.

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ განვიხილეთ სასამართლოს უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში. ჩვენ ვისაუბრეთ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე რომელიც დაკავშირებულია სასამართლოზე. თანამედროვე სამყაროში სამართლებრივი დავების გადაწყვეტა ძირითადად შეჯიბრებითი ან ინკვიზიციური პროცესის საშუალებით ხდება. ორივე მოდელს აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. ინკვიზიციურ მოდელში, შეჯიბრებითი მოდელისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის სასამართლო პირდაპირაა საქმის გადაწყვეტაში ჩართული. ინკვიზიციური პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეები თავად აგროვებენ მტკიცებულებებს და თავადვე განსაზღვრავენ საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გახსნის წესს. გარდა ამისა ინკვიზიციური პროცესისას მოსამართლეები თავად ირჩევენ მოწმეებს, ექსპერტებს თავადვე კითხავენ და ამის შემდეგ თავადვე განსაზღვრავენ და აფასებენ მას.

ინკვიზიციური პროცესისაგან განსხვავებით, შეჯიბრებითი პროცესი მთლიანად მხარეების სურვილებსა და მათ გადაწყვეტილებებსაა მინდობილი. თუ ინკვიზიციური პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლო ზედმეტად აქტიურად კია, შეჯიბრებითი პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე პასიურია, მისი როლი მხოლოდ „ მსაჯის“ ფუნქციით შემოიფარგლება, ანუ მოსამართლე თავად არ იძიებს მტკიცებულებებს, ის მხოლოდ აფასებს მათ, შესაბამისად მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით წყვეტს საქმეს.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ მოსამართლის აქტიური როლი შეიცვალა შედარებით პასიური როლით და აქამდე სისხლის სამართლის მოსამართლის აქტიური, ინკვიზიციური როლი არბიტრის როლმა ჩაანაცვლა. ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესი დღევანდელი კანონმდებლობით მთლიანად აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც სრულ თავისუფლებას აძლევს მხარეებს.

შეჯიბრებითობის პრინციპის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე - 9 მუხლის პირველ ნაწილში: „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. “ მხარეთა შეჯიბრებითობა თავისთავად გამორიცხავს მოსამართლის აქტიურ როლს ამ პროცესში. სისხლის სამართლის პროცესის მოსამართლეს არ აქვს უფლება მტკიცებულების მოძიებაში დაეხმაროს მხარეს, ის არის სრულიად ნეიტრალური ფიგურა,

რომელმაც გადაწყვეტილება კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე უნდა მიიღოს, რა თქმა უნდა მტკიცებულებების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, მოსამართლის როლის შეჯიბრებითი პრინციპის განხორციელების პროცესში მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მოსამართლე განკარგავს პროცესის მიმდინარეობას.

სასამართლო ბოლო ეტაპამდე საკუთარ აზრს არ აფიქსირებს, ვფიქრობ ამის საჭიროება არც არსებობს, რადგან სასამართლოს მიზანი, კონკრეტულ საქმეზე დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაა, მხარეების მიზანი კი მათი ინტერესების დაცვა. სასამართლოს აღნიშნული პოზიცია გამართლებულად მიმაჩნია იმიტომაც, რომ სასამართლო მტკიცების ვალდებულების მქონე სუბიექტი არ არის, რადგან სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა განსხვავდება დამტკიცების მოვალეობის სუბიექტების საქმიანობისაგან.

სისხლის სამართლის პროცესში არის საკითხები, სადაც მოსამართლის ფუნქციების გაზრდა აუცილებლობას წარმოადგენს. მოსამართლეს საკუთარი ინიციატივით კითხვის დასმის უფლების არ გააჩნია, რაც რა თქმა უნდა აკნინებს მის როლს. სამართლის კოდექსის 25 -ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.“ როგორც ვხედავთ პროცესის მიმდინარეობისას კანონმდებელი ფაქტიურად უკრძალავს მოსამართლეს კითხვის დასმის უფლებას და უფრო მეტიც, გარკვეულწილად პროცესის სხვა მონაწილეებზე დამოკიდებულს ხდის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ რომ სასამართლოს პასიური როლი კონკრეტული საქმის განხილვისას მიუღებელია, რადგან არ შეიძლება მოსამართლე მხოლოდ შეჯიბრებითობის შედეგს ენდოს. სასამართლომ უნდა შეძლოს და ყოველგვარი ზეგავლენებისგან თავისუფალმა უხელმძღვანელოს პროცესს, თანამშრომლობა გაუწიოს პროცესის მონაწილეებს უფლებების რეალიზაციაში, შექმნას საქმის გარემოებების დასადგენად და მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის პირობები.

ნაშრომზე მუშაობისას ასევე განვიხილეთ სასამართლო, ხელისუფლება ძველ ქართულ სამართალში, შედარება გავაკეთეთ ახალ სამართლო სისტემასთან. ასევე განვიხილეთ ის ფაქტი თუ როგორი იყო სასამართლო სისტემა დამოუკიდებლობის აღდგენ ამდე და მის შემდეგ. ვისაუბრეთ ასევე სასამართლო სისტემის მიმოხილვაზე, თუ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით არ განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მას პირველი ინსტანციით

განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრატი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა.. სააპელაციო სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. კეკელია მ, დასახ.ნაშრომი, ტ.II
- 2.ჯავახიშვილი ივ, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ,1984.
- 3.მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. გამომც მერიდიანი თბ 2003წ
4. ლეკვიშვილი მ ,დასახ.ნაშრომი,
- 5.დოლიძე ა, პირველი ნაბიჯები გამომც უნივერსალი თბ 2019წ გვ22
6. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი თბ 2015
- 7.ვახტანგის სამართლის წიგნი.
- 8.საქართველოს სიძველენი. ე.თაყაიშვილის რედაქციით. ტომი 3(შესაცვლილია)
- 9.ბატონიშვილი ი. კალმასობა. ტომი1. კ. კეკელიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით.1936ჭ.გვ 203
- 10.მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. შ. მესხიას რედაქტორობით.1948წ.გვ 53
- 11.მეტრეველი.ვ. ქართული სამართლის ისტორია

ნორმატიული აქტი

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;
- საქართველოს ორგანული კანონი სასამართლოების შესახებ

ვებ.გვერდები

- 1.<http://www.supremecourt.ge/court-system/about-system/>
- 2.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83.3%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D#%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90
3. https://tcc.court.ge/ka/Jurors?fbclid=IwAR0ei-lIFnYePEwBX1qVHf_O5fi7NEWCOAYJINf7-YaNQ2jDObkZnkqdgLY
- 4.<https://openscience.ge/bitstream/1/1951/1/Jemal%20Gogolashvili%20Samagistro.pdf>
5. <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/iosebkelenjeridze.pdf>